45/73/2



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ივნისი
№ 6 1973 წ.



პიკასო — „გერნიკა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰუმანისტი-მებრძოლი

პიკასოს უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ მან გაგვაგებინა — ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები განუყოფელია მის ისტორიულ მნიშვნელობასთანო, — წერს ცნობილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე მაქს ფუშე. და მართლაც, ჩვენი საუკუნის ხელოვნებას ისეთი შემზარავი არაფერი მოეპოვება, ვიდრე ნიღბები, რომლებიც შექმნა პიკასომ ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ ბრძოლის წლებში. შემაძრწუნებელია პიკასოს ცნობილი „გერნიკა“. იგი უდიდესი ძალით ააშკარავებს ფაშისტური გორგონის საზიზღარ სახეს. დიდი ამაფეთქებელი ძალით და უსაზღვრო ტკივილებით გამსჭვალულ ასეთ ქმნილებებთან ერთად, პიკასომ მოგვცა ადამიანისადმი უდიდესი სიყვარულით აღბეჭდილი შედევრები. საკმაოა მოვიგონოთ მისი ნაწარმოები — „გოგონა სფეროზე“.

დაუოკებელი ტიტანური შრომით, იყო აღსავსე პიკასოს მთელი შემოქმედებითი ცხოვრება. პარიზის ჟურნალ „ექსპრესის“ გამოთვლით, 1892 წლიდან 1962 წლამდე პიკასომ შექმნა 11.094 სურათი და ნახატი. თუ ამას მივუმატებთ უკანასკნელი ათი წლის ნამუშევრებს, ეს რიცხვი 13 ათასს გადააჭარბებს. ცხადია, აქ ნაგულისხმევი არ არის ესტამპები, წიგნის ილუსტრაციები, ასობით ქანდაკება და კერამიკული ნაწარმი.

მაგრამ მთავარი პიკასოს ქმნილებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი როდია, მთავარია დიდი ხელოვანის შემოქმედების განსაცვიფრებელი სიმდიდრე, მისი ნიჭის ძალა.

პაბლო პიკასო, თანამედროვეობის უდიდესი მხატვარი, გარდაიცვალა. მაგრამ მისი ჭეშმარიტად უკვდავი შემოქმედებითი მემკვიდრეობა საუკუნეებში იცოცხლებს და გაამდიდრებს ადამიანის აზრებსა და გრძნობებს. ამ შესანიშნავი ოსტატის შემოქმედება მტკიცედ არის დაკავშირებული ჩვენს დინამიურ ეპოქასთან, ადამიანთა ბრძოლასა და ოცნებებთან. იგი სამსახურს უწევს კაცობრიობას განთავისუფლებისაკენ მის დაუოკებელ სწრაფვაში. პიკასომ აავსო ჩვენი დრო ყვავილებით, ფორმებით, ძიებებით... მისი შემოქმედება ჩვენი დროის ძვრების ანარეკლია.

დიდი შემოქმედი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა რეაქციის წინააღმდეგ პროგრესული ძალების ბრძოლას. ესპანეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომის წლებში, პიკასო უყოყმანოდ დადგა რესპუბლიკელ-ანტიფაშისტთა დროშის ქვეშ. საფრანგეთის ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში პაბლო პიკასო წინააღმდეგობის მოძრაობის მხარეზე გამოდიოდა. ფაშიზმზე გამარჯვებას იგი შეხვდა, როგორც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი. ომის შემდგომ წლებში კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, პიკასო მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მსოფლიო მოძრაობის აქტიური მონაწილეა. ქალაქ ვალორისის მუზეუმში ინახება დიდი მხატვრის ტრიპტიქი — „ომი და მშვიდობა“, მასში პიკასომ ალეგორიული ფორმით გამოსახა თავისი სიძულვილი მილიტარიზმისა და რეაქციისადმი.

პიკასოს საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ მაღალი აღიარება მოიპოვა — მას მიენიჭა მშვიდობის საერთაშორისო პრემია, 1962 წელს კი — „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია. სახელგანთქმულმა „მშვიდობის მტრედმა“, რომელიც მხატვარმა 1949 წელს შექმნა, მთელ მსოფლიოს შემოუფრინა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

პაბლო პიკასოს ადამიანური და შემოქმედებითი სახე ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უკეთილშობილესი სახეა.

ირინა ძუცოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაბლო პიკასო. „ბავშვი მტრედით“.

**1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა**

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბ. ბიბლიოთეკა



ხის მხატვრული დამუშავება

# თბილი სახლი

მონატრება ყველა ბავშვმა იცის. მონატრება სახლის, მშობლის, გამზრდელის, ახლობლის... ისინი გულით ატარებენ ჩუმ სევდას შაბათამდე. შაბათს კი თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატს მშობლები აკითხავენ და შვილები შინ მიჰყავთ. ეს დიდი სიხარულის დღეა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ზოგს არავინ არ მოაკითხავს. მარტოხელა დედა ან ქვრივი მამა პირადი საქმეებით არის დაკავებული და შვილისთვის არ სცალია. გულმოკლული დადის ბავშვი საძილე კორპუსიდან სასადილოში. სასადილოდან გასართობ დარბაზში, ჩართავს ტელევიზორს, მიუჯდება შაშს, მაგრამ მაინც ვერ პოულობს სიმშვიდეს.

ზოგიერთები კი თავად ამბობენ უარს წასვლაზე. მათ არ მოსწონთ ის ოჯახური გარემო, რომელიც დასტოვეს. არ სურთ კვლავ აღმოჩნდნენ ლოთი მამის პირისპირ, ან დედის თავდაჭერაში შეეპაროთ ეჭვი. ან ლანძღვა მოისმინონ. ან თავი იგრძნონ ზედმეტად. ინტერნატში არჩევენ მშვიდად ყოფნას და თავის შესაქცევს, საფიქრალს ყოველთვის გამოძებნიან ხოლმე.

სახელმწიფომ სწორედ ასეთი ბავშვებისათვის ააშენა სკოლა-ინტერნატი და მან სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

თბილისის სკოლა-ინტერნატი დიდი ოჯახია — 552-ბავშვიანი ოჯახი. ერთ ჭერქვეშ დაღამებამ და გათენებამ, ერთ ნაძვებქვეშ სირბილმა და ჩრდილებში შეფარებამ, წვიმის ერთად შეხვედრამ, თოვლში ერთად სიარულმა დააახლოვა სხვადასხვა ქალაქიდან თუ სოფლიდან მოსული 18 ეროვნების ბავშვები. აქ ვერ ნახავთ ხულიგნობას, წესრიგის დარღვევას, გაუტანლობას, დაჩაგვრას. თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბევრი ბავშვი კალაპოტიდან ამოვარდნილი, უწესოდ გაზრდილი და ცუდი სიტყვა-პასუხის პატრონი იყო.

აღმზრდელების დედურმა ამაგმა, ინტერნატის მთელი კოლექტივის გულითადობამა და მზრუნველობამ განუმტკიცა მათ თავიანთი თავის რწმენა, კარგ მოქალაქეებად გახდომის სურვილი, მისწრაფება წესიერებისაკენ, სილამაზისაკენ, სიფაქიზისაკენ. ბავშვები ხომ ყოველ წუთს მშობლების მაგიერ შეჰყურებენ ამ ადამიანებს და თანაგრძნობას ეძებენ მათში, პოულობენ კიდეც და ამიტომაცაა, რომ თვინიერნი, დამჯერნი, ბეჯითნი და მგრძნობიარენი ხდებიან. ყველაზე მეტად მაინც დირექტორის განწყობილებას აკვირდებიან. დირექტორი კი, ალექსანდრე მიასნიკოვი, ნამდვილად მშობლიური გრძნობით არის სავსე, ბავშვებზე ზრუნვასა და ფიქრში ალამებს დღეებს, რომ არ შესცივდეთ, არ მოშივდეთ, არაფერი მოაკლდეთ. ბავშვები ადვილად გრძნობენ, რომ იგი არის მათში ყველა სიკეთის საწყისი. სათავე და არ შეიძლება ასეთ კაცს ეურჩო, არ გაუგონო, აწყენინო, პატივი არ სცე.

ალექსანდრე მიასნიკოვმა რუსეთის ერთ-ერთი ქალაქიდან წერილი მიიღო ჯარში გაწვეული აღზრდილისაგან, მეორე ქალაქიდან კი ორი ახალგაზრდის ფოტოსურათი მოუვიდა. აუღელვებლად ვერ ჩაიკითხა მან სამხედრო სამსახურიდან მიღებული წერილი. ზოგჯერ შვილი არ გაუმხელს ამდენს განცდილსა და გადატანილზე, ისე გულახდილად არის ნაამბობი წერილში ბიჭის ცხოვრებიდან — დედით უკმაყოფილება, ინტერნატისადმი სიყვარული, მათთან მალე დაბრუნების სურვილი.

„აი, გათავდება სამხედრო სამსახური, — წერს ვაჟი — და სად დავბრუნდე, არსად წასასვლელი არა მაქვს თქვენს გარდა. გახსოვთ, პატივცემულო ალექსანდრე, ხანდახან რომ დაბალ ჯგუფებში გაკვეთილები ცდებოდა და მე მავალებდით კლასში შესვლას, გაკვეთილის ჩატარებას? როგორ მომყვებოდა მთელი კლასი, როგორ მისმენდა! ახლა უფროსი სერჟანტი ვარ. ჩამოვალ მანდ და იქნებ მასწავლებლობა დამაწყებინოთ თქვენთან".

პასუხი სასწრაფოდ გაიგზავნა სამხედრო სამსახურში. დირექტორმა მისწერა, რომ პედაგოგს დიდი განათლება და ცოდნა სჭირდება, ეგებ შესძლოს მან უმაღლესში მისაღები გამოცდების ჩაბარება, თავშესაფარს და შესაფერ სამუშაოს გამოუძებნიან. კარგი პასუხი, კაცს რომ დაამშვიდებს, ისეთი პასუხი გაიგზავნა ჯარისკაცთან.

ორ ფოტოსურათზე სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილები არიან, ერთი ოჯახის შვილები. უფროსი ახლა რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში იურისტის პროფესიას ეუფლება, მეორე ძმა მალე მკურნალი ექიმი იქნება, და დირექტორი ჩუმად ესაუბრება ამ ორი ყმაწვილის, ორი მომავალი სპეციალისტის ფოტოსურათს.

...წასულებს კი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ოჯახური სითბო ინტერნატიდან გაჰყვათ. გაჰყვათ მოგონება სწავლის იმ დიდ შესაძლებლობაზე, რასაც ინტერნატი იძლეოდა. თუ მუსიკაში განსაკუთრებულ ნიჭს გამოიჩენდნენ, შეეძლოთ მუსიკალურ სკოლაში ევლოთ, თუ სასულე ორკესტრი დააინტერესებდათ, ეს ორკესტრიც ჰქონდათ. ყველა საგანში შესანიშნავი პედაგოგები ჰყავდათ. მუშაობდნენ საგნობრივი წრეები, სპორტული სექციები, ჰქონდათ კარგად მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნოები, ბიბლიოთეკა,

აწყობდნენ შეხვედრებს ქალაქის მოწინავე ადამიანებთან, რესპუბლიკის სხვა ინტერნატებთან. ეს ყველაფერი დღესაც ასეა.

და კიდევ რამდენის მოგონება შეიძლება:

...ერთ თვეში დაბადებულები დაბადების დღეს ერთად იხდიდნენ. აღმზრდელები საჩუქრებს დაურიგებდნენ იუბილარებს, მერე კი მხიარული ვახშამი იმართებოდა.

...დღესასწაულებზე, თუ რომელიმე შინ ვერ წავიდოდა, დარჩენილებისთვის ცალკე ტარდებოდა ღონისძიებანი, იშლებოდა გემრიელი სადღესასწაულო სუფრა.

...ავად გახდებოდა ვინმე და ყველანი კითხულობდნენ მის მდგომარეობას, მიდიოდნენ იზოლატორში, სადაც ავადმყოფებს დღედაღამ თავზე ადგათ ექიმი და ექთანი.

...იტირებდა პირველკლასელი და ყველანი ცდილობდნენ მის გართობას, დედაზე ჯავრის გაქარვებას, გამხიარულებას.

...ჩამორჩებოდა ვინმე სწავლაში და ფრიადოსნები ეხმარებოდნენ, ავარჯიშებდნენ, უხსნიდნენ.

დიდი ამაგი აქვთ მარტო მათზე კი არა. ყველა აღსაზრდელზე სკოლის მასწავლებლებსა და აღმზრდელებს. გეოგრაფია უყვართ იმიტომ, რომ მარგო კოროშინაძე მიმზიდველად აცნობს მათ მსოფლიოს სახელმწიფოებს, მთებს, მდინარეებს, აზა მაისურაძე ფიზიკის საიდუმლოებებს ხდის ფარდას, რუსუდან მეგრელიშვილი ქიმიის ყოფაცხოვრებაში გამოყენებით აინტერესებს ბავშვებს. ისინი აღმზრდელებადაც მუშაობენ და მთელ დღეს ბავშვებთან ტრიალებენ.

მუდამ მათთანაა უფროსი აღმზრდელი, ქართული ლიტერატურის მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დარეჯან ძნელაძე და ხან ცხოვრებისეული საკითხების გარკვევაში ეხმარება აღსაზრდელებს, ხან ლიტერატურას აცნობს, აყვარებს წიგნს.

გალინა მალინოვა, ირინე ბოლოთაევა, გოგუცა ზენაიშვილი, ლიდა პაატიშვილი. ესმა ჯინჯიბუხაშვილი, ვალენტინა ზაბოროვსკაია, ეთერ ქვანია გაკვეთილების შემდეგ უსხედან მერხებზე აღსაზრდელებს, უკეთებენ, უხსნიან ასათვისებელ საგანს.

შრომის სიყვარულს პატარაობიდანვე უნერგავენ ბავშვებს. პირველკლასელები თვით ასწორებენ საწოლს, ალაგებენ თავიანთ კუთხეს, უვლიან თავისთავს. უფრო მოზრდილები სადილე და სამეცადინო ოთახების დალაგებაში მონაწილეობენ, მუშაობენ ნაკვეთზე, რგავენ ყვავილებს, ნაძვისა და სხვა ჯიშის ხეებს, უვლიან ხეხილს... ამიტომ არის ასე დამშვენებული ინტერნატის ეზო.

მოსწავლეები ჩაბმული არიან შრომის წრეში, რომელსაც საამშენებლო ბრიგადასაც უწოდებენ. აქ ისე კარგად ეუფლებიან სხვადასხვა სამუშაოებს, რომ მერე თვითონ არემონტებენ ყველაფერს, რაც მწყობრიდან გამოდის. შრომაში შეუმჩნევლად ყალიბდება უბრალოება, კაცთმოყვარეობა, ურთიერთმომსახურებისა და კეთილდახმარების გრძნობა.

ინტერნატში განსაკუთრებით ძვირფასია



გეოგრაფიის მასწავლებელი მარიამ კოროშინაძე გაკვეთილს ატარებს მე-7 კლასში

ფოტო დ. იაკობაშვილისა



ფოტოწრეში



სპორტულ დარბაზში



ლაბორატორიული მეცადინეობა ქიმიაში

საღამოს საათები, როცა გაკვეთილები დამზადებულია, როცა აღმზრდელებს შემოწმებული აქვთ, როგორ მოემზადნენ ხვალისთვის ბავშვები. ახლა უკვე დგება დასვენების, გონივრული გართობის, წრეების მუშაობისა და განმარტოების ჟამი და იწყება ის გულახდილობაც, რაც ყველა ბავშვს მეტნაკლებად გააჩნია — გულახდილობა აღმზრდელებთან, ფიქრის განდობა და მიალერსება.

და მაინც აქ, ამ წმინდა დაწესებულებაში, სადაც ყალიბდებიან მომავალი მოქალაქეები გონებრივად, ფიზიკურად და სულიერად, სადაც სწავლისა და აღზრდის საქმე კარგად არის დაყენებული, ბავშვებს უკეთესი სასწავლო და საყოფაცხოვრებო პირობები უნდა ჰქონდეთ.

ბავშვებს შეუფერებელ ოთახებში სძინავთ. ეს არის ყაზარმული ტიპის შენობა, ყველა ოთახი ერთმანეთს უერთდება და არცერთს არა აქვს კარი. თითო ოთახში დაახლოებით ოცდაათამდე ბავშვია, იგრძნობა სივიწროვე, საწოლები ისე ახლოსაა ერთმანეთთან, რომ მათ შორის კარადის ჩასადგმელი ადგილიც არ რჩება.

სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახეს, სკოლის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს საძილე კორპუსზე მეოთხე სართულის დაშენება, რათა ფართობი მაინც მომატებოდათ. 300 ბავშვზე გათვალისწინებულ კორპუსში მართლაც ძნელია 552 ბავშვის მოთავსება! რამდენიმე წლის წინ მშენებლობა დაიწყო, აშენდა შენობის ნახევარი და მშენებლობა შეჩერდა. მესამე სართულის ნახევარი თუნუქით გადაუხურავი დარჩა, რის გამოც საძინებელ ოთახებში ხშირად ჩადის წვიმის წყალი.

სკოლა-ინტერნატს არა აქვს ქალაქთან დამაკავშირებელი ტელეფონი, დღემდე საავიაციო ქარხნის ქვესადგურით სარგებლობენ, რაც ხშირად დაზიანებულია. არც საჰაერო ტელეფონი მუშაობს სანახევროდ. რა ქნან, რომ უეცრად რომელიმე ბავშვს სასწრაფო დახმარება დასჭირდეს ან სხვა უბედური შემთხვევა მოხდეს?

ტანსაცმელს ინტერნატს ერთი გარკვეული ბაზა აძლევს, აღმზრდელების სურვილი კია, რომ მისი შეძენა ყველგან შეიძლებოდეს, ნაირფეროვანი, გემოვნებით შეკერილი კაბა, სასკოლო ფორმა თუ ფეხსაცმელი გაახალისებდა ბავშვებს.

აღსაზრდელებს კარგად კვებავენ. მზარეულები გემრიელ კერძებს ამზადებენ, თუ მოითხოვეს, დამატებით ულუფასაც აძლევენ, მაგრამ რატომღაც გაძლიერებული კვება, რაც სუსტი ბავშვების გამოსაჯანმრთელებლად იყო გათვალისწინებული, გააუქმეს, რადგან საამისო თანხები არ მისცეს სკოლა-ინტერნატს.

...და ყველა ამ საკითხის მოგვარებას განათლების სამინისტროსგან ელიან. ცხადია, თუ ბავშვებს შეექმნებათ სწავლისა და ცხოვრების ნორმალური პირობები, ისინი უკეთეს მოქალაქეებად დაიზრდებიან.

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ასკურავა

# სიხარულით სავსე მატარებელი

მოთხრობა

მხატვარი ლ. შენგელია

რკინის მოაჯირს მივადექი და დავიხარე, რომ კედელში დატანებულ სარკმელს გავსწორებოდი.

სარკმელს იქით, ვარდისფერკედლებიან ჯიხურში მოჩანდა წითელმაუდგადაფარებული მაგიდის კიდე. მაგიდას თავდახრილი უჯდა ვიღაც. იმ ვიღაცას გაბუტული ჩვილის ქვედა ტუჩი და მკერდზე დაბჯენილი ნიკაპი მოუჩანდა, ორად გაყოფილი, შეწითლებული ნიკაპი. ტუჩსა და ნიკაპს ქვემოთ გადაშლილი წიგნის ფურცლები ტოკავდნენ.

ჩავახველე, დაგრაგნილი ქაღალდები გავასწორე და რაფაზე დავდე.

სარკმელს იქიდან გაკვირვებით ამომხედა, მერე ჩვილის ბაგეებმაც გამიღიმეს.

— დიდი ხანია მელოდებით? ისე გავერთე... — მგონი, კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, თუმცა ბავშვური ხმა არ დაემორჩილა.

— სულაც არა, ამ წუთას მოვედი.

— უჰ, რა ბრაზიანი ჩანხართ, მე კი...

— ბრაზიანი? — შეძლებისდაგვარად დავუყვავე მე... — რა წიგნს კითხულობთ?

გოგონამ წიგნი დახურა და ყდით მომიშვირა.

ყდას შევხედე და არც დავფიქრებულვარ ისე ვუთხარი: მაგას ყველა კითხულობს ახლა-მეთქი.

უცბად მოიღუშა, რაფაზე გაშლილი ქაღალდები აკრიფა და ოფიციალურად მკითხა:

— გვარი?

— ვეფხვაძე.

— სახელი?

— ვაჟა.

— მამის სახელი და დაბადების წელი?

— ყველაფერი მანდ არ წერია?

უჯრიდან ჟურნალი ამოიღო, შიგ რაღაც ჩაწერა, მერე საბუთებს ჩემი სურათი მოაცილა, დაკვირვებით შეამოწმა და მზერა ჩემზე გადმოიტანა.

— რაო, სურათში უკეთესი ვარ?

— დედანს უნდა შევადარო.

— მერე, როგორი შთაბეჭდილებას ტოვებს დედანი?

— ბრაზიანის.

— დილას აქეთ-სულ კანცელარიებში დავდივარ. — ვთქვი და ნერწყვი გადავყლაპე. — თქვენთან, ალბათ, ყველა ასე ნერვებმოშლილი მოდის.

— როგორ დაასკვენი? ალბათ, შენც გვარიანად გარბენინებდნენ მიღებისას? — გოგონამ გაიღიმა.

— აბარებდი სადმე? — მკითხა.

— პოლიტექნიკურში.

— მერე?

ხელები გავასავსავე — ბედმა არ გამიღიმა-მეთქი.

— ძნელია. — თანაგრძნობით თქვა მან, — ჩაჭრა.

— თქვენც ჩაიჭერით?

— მე ტექნიკუმში ვსწავლობ, ქიმიურზე.

— ზოგიერთს უმართლებს, ზოგს კიდევ... — ვთქვი მე.

— შენც გაგიმართლებს, ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ.

— აკი, ბრაზიანიო? თანაც, სხვათა შორის, მე ვაჟა მქვია და არა ბიჭი.

— ბრაზიანი ვაჟა.

— მაგასაც ვნახავთ. — არ ვიცი, რატომ დავემუქრე.

გოგონა წამოდგა და ალისფერყდიანი საშვი გამომიწოდა, საშვში ჩემი სურათი იყო ჩაკრული.

— სურათს ხელი დააჭირე, წებო არ გამშრალა ჯერ, — გამაფრთხილა. მერე საათს დახედა და აფუსფუსდა.

— სახელს არ მეტყვი? — ვთქვი.

— აქ ათასი ვინმე მოდის, ყველას რომ სახელი ვუთხრა...

— მაშინ ბრაზიან გოგონას დაგიძახებ, კარგი?

— კარგი. — დამეთანხმა და სარკმელი მოხურა.

— ერთი შეკითხვა მქონდა კიდევ.

— სამუშაო დღე დამთავრდა, — გამომძახა.

— ჰოდა, არასამუშაო შეკითხვა მაქვს, შეიძლება?

არ უპასუხნია, თავი დამიკრა და გვერდით ოთახში მიიმალა.

„რამდენი ვილაყბე, — გავიფიქრე, — გოგონებთან არ მიყვარდა ბევრი ლაპარაკი. ახლა..."

ამ სიახლემ კარგ ხასიათზე დამაყენა, მოაჯირს მოვცილდი და ჭადრის ახლადდატოტვილ ხესთან დავდექი. ასეთივე ნორჩი ჭადრები ორივე მხრივ მისდევდა განიერ ქუჩას.

ფილარზე ფეხების ბრაგუნი და ლაპარაკი შემომესმა — ვიწრო გასასვლელში თითო-თითოდ გამოდიოდნენ დღის ცვლის მუშები.

გასასვლელში მდგომ დარაჯს ზოგიერთები ისეთსავე საშვს უჩვენებდნენ, წეღან რომ მომცეს. ზოგიერთი კი ისე ჩაუვლიდა, კარის ბოყვს ან შუასვეტს რომ შეხედავენ — გასვლისას არ წამოვედოთ.

უწყვეტ ნაკადად გამოდიოდა ხალხი. გარეთ ერთიმეორეს ელო-

დებოდნენ. ჯგუფებად იკრიბებოდნენ და გასასვლელთან შეწყვეტილ საუბარსა და გზას აგრძელებდნენ.

ჩრდილდაფენილი განიერი ქუჩა აივსო, აფოფინდა და ტალღისებურად დაიძრა. ერთი შეხედვით ისე სჩანდა, ხალხი კი არა, თვით ქუჩა მოძრაობსო.

უცხო ნახირში გაბნეულ ბოჩოლასავით ვიდექი, გულით ვნატრობდი, ამდენ ხალხში ერთი ნაცნობი მაინც გამომჩენოდა.

— რამდენი მალოდინე, — შემომესმა.

თავი მოვაბრუნე. ის გოგონა, წეღან მთელი საათი რომ გავაცდინე ლაპარაკით, ვიღაც ჭმუხ, წარბებშეფსკვნილ ბიჭს ამოდგომოდა გვერდით.

• • •

გადავწყვიტე, ჯერ საამქრო დამეთვალიერებინა, გარემოს გავცნობოდი. თუმცა ამის ხალისი მალე დამეკარგა, ისეთი გაუგებრობა სუფევდა ირგვლივ. პირველსავე შემხვედრს ცვლის უფროსის ადგილსამყოფელი ვკითხე და თავი ისე დავიჭირე, თითქოს არაფერი არ მიკვირდა.

— რაო? — ნიჩბის ტარს დაყრდნობილი კაცი ჩემკენ გადმოიხარა და გაშლილი ხელი ყურთან მიიდო.

კითხვა გავუმეორე.

— ეგერ რომ ყვირის, ის არის, — კაცმა აღმოსავლეთით გაიშვირა ხელი.

საამქროში ბევრი ყვიროდა და ვერ მივხვდი, მათ შორის რომელი იყო ცვლის უფროსი.

კაცი მიმიხვდა:

— აი, ის ლურჯხალათიანი, უქუდო.

საამქროში ლურჯხალათიანებიც ბლომად იყვნენ და უქუდოებიც, ისევ ვერაფერს მივხვდი, თუმცა იმ კეთილ კაცს მადლობა გადავუხადე და გზა გავაგრძელე.

ჭერში ჩამოკიდებულმა ამწემ დგრიალით გადაიარა მაღლა. ამწის კაუჭზე ავტობუსის ტოლი ციცხვი ეკიდა და ზანტად ირხეოდა. თვალებდაჭყეტილი მეამწე ძირს იცქირებოდა და ზარს აწკარუნებდა.

— გაიწიე, ბიჭო, იქით! — მომაძახეს და ვიღაცამ ხელით გამაჩერა.

რაღაც უჩვეულო მანქანამ ცხვირწინ ჩამიარა, ისიც ზარის წკარუნით მიიკვლევდა გზას. მანქანა რელსებზე იდგა, გრძელი ხორთუმი ჰქონდა და იმ ხორთუმს გამუდმებით ამოძრავებდა. თავს ძალა დავატანე, იქნებ, მივხვდე ამ მაიმახის დანიშნულებას-მეთქი, არაფერი გამომივიდა, სანამ მანქანის წინ მომცრო ციცხვებით დატვირთული, პატარა ვაგონები არ მოსრიალდნენ. მაშინ კი გახელდა უჩვეულო მანქანა: ხორთუმი ასწია, დაეძგერა ციცხვს, ააბურთავა, ააგდო და აგიზგიზებულ ღუმელს ჩაჩურთა ხახაში. იქ, იმ ალაოში ერთ-ორჯერ აატრიალ-დაატრიალა, აგორავა, დაბერტყა და უკან გადმოიღო. თავის ადგილზე, რომ დადო, ახლა მეორეს წაეტანა და ასე ერთიანად ჩაახვეტა იმ ციცხვებში ჩატენილი ჯართი ღუმელში.

— იქით ვერ გაიწევი, კაცო? — ახლა ერთი ციცქნა ბიჭმა მომქაჩა მკლავზე.

მერე იმ ბიჭმა სასტვენს ჩაბერა. პატარა ორთქლმავალმა თავვკატეხილივით დაიკივლა და ჩემკენ გამოქანდა. ორთქლმავალმა რომ ჩამიარა, ყველაზე ახლოს მდგომ კაცთან მივედი და ცვლის უფროსი ვიკითხე.

— ერთი იმისი... — ხელი აიქნია კაცმა.

— ეგერ, ჰეე! — იქვე მდგომმა გრძელულვაშიანმა კაცმა მიხსნა გაჭირვებისაგან.

მგონი, მივხვდი, რომელი უნდა ყოფილიყო ცვლის უფროსი. მაღალი კაცი იყო, თითქმის მთელი თავით სხვებზე მაღალი და, გამიკვირდა, რომ იგი აქამდე ვერ შევამჩნიე.

— გვარჯილა და კირი შემოზიდონ! — დაბალი ტანის კაცს დაუყვირა მან.

— ჯერ მეხუთეზე ვართ, გერონტი. — ხელების მკვეთრი ქნევით თქვა დაბალმა.

— გადახსენით შემადგენლობა და ამათი წილი წამოიღეთ!

დაბალ კაცს გაეხარდა რაღაც. ასე გამეხარდებოდა ხოლმე სკოლაში, ძნელ ამოცანას ვერაფერს რომ ვერ გავუგებდი და მასწავლებელი სულ იოლად ამოხსნიდა.



— დიმიტრი! — ახლა სხვას გასძახა ცვლის უფროსმა.

ღუმელთან მდგარი მაღალი მეფოლადე შემობრუნდა, შუბლზე მიდებული ხელი ყურთან გადაიტანა და, რა გინდაო, დაიძახა.

— დაიწყეთ, რაღას ელოდებით?

დიმიტრიმ რაღაც ჩაილაპარაკა, ხელი ჩაიქნია და ღუმელს მიუბრუნდა.

— ჩემთან გაქვს საქმე? — ძლივს მოიცალა ჩემთვის ცვლის უფროსმა.

— დიაღ, ბატონო.

— ბატონო კი არა, ჰერცოგი არ გინდა? არ მცალია მე.

— საამქროს უფროსმა გამომგზავნა. ახალი მუშა ვარ.

— მუშა, თორემ ააშენებ ქვეყანას, — შემომხედა, ერთბაშად სერიოზული სახე მიიღო და მკითხა: — სად აბარებდი?

„ნომერ პირველი კითხვა, წაიღეს გული!“ — გავიფიქრე.

— არსად, — ვთქვი.

ცვლის უფროსმა შემათვალიერა, ეტყობოდა, არ დამიჯერა, მაგრამ მაინც გამიღიმა.

— ისე, კაი მოზვერი ჩანხარ. — დამიყვავა, — შეძლებ მუშაობას. წავიდეთ.

ორ-სამ კაცს უთხრა, აზიზა მომინახეთ და გამომიგზავნეთო.

ღუმელების შემოვლას რომ მოვრჩი, აზიზაც მოვიდა. მაღალი, ქერა ბიჭი იყო, მოშვილდულ წარბებიანი, წაბლისფერი ხუჭუჭა თმით.

— გეძინა ხომ? — დაუტატანა ცვლის უფროსმა.

— როგორ გეკადრებათ, უფროსო! — საოცარი სიმშვიდით მიუგო აზიზამ. ისე, წყალი არ გაუვიდოდა, ნამძინარევი იყო.

— მე მეკადრება, ხომ? აგერ, მოელო ბოლო შენს ყალთაბანდობას, მოგივიდა შემცვლელი.

აზიზა იდგა და ქერა წამწამებს აფახულებდა. ხანდახან გადმომხედავდა, ისე, სხვათა შორის.

— სამ დღეში შეასწავლი საქმეს. — ძლივს მშვიდად მოლაპარაკე დავინახე ცვლის უფროსი. — შენ კი ბრიგადაში დაბრუნდები. — მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე მე მომიბრუნდა — ამასთან იქნები. — თქვა და გაგვცილდა.

— წამო, გაზიანი წყალი დავლიოთ. — ისე მითხრა აზიზამ, თითქოს დაბადებიდან თანშეზრდილები ვყოფილიყავით. — გაზიანი წყალი და რძე უფასოდ გვაქვს, სვი, რამდენიც გენებოს. მე რძე არ მიყვარს, გაზიანი წყალი სხვა საქმეა.

მომცრო ჯიხურთან შევჩერდით. უჟანგავი თუნუქის რაფაზე დაწყობილ ჭიქებს შორის ორი შეარჩია და გულმოდგინედ გარეცხა, მერე პატარა ონკანის სახელური მოაბრუნა და ჭიქები წყლის აქაფებულ ჭავლს შეუშვირა.

წყალი მართლაც გემრიელი გამოდგა. საამქროში შესვლის პირველი წუთიდანვე პირში მწკლარტედ მეხრაშუნებოდა რაღაც და წყალმა უცბად გამიქარვა ის გემო. აზიზას მადლობა გადავუხადე.

— რას ამბობ, მადლობა მე უნდა გითხრა, მომკლა ძილმა და უსაქმურობამ.

— კი, მაგრამ...

— ახლავე აგიხსნი. — აზიზამ მხარზე დამადო ხელი, მერე კი ღუმელისკენ გაიშვირა. — თალს ხომ ხედავ, მტვერი უნდა გადმოწმინდო იქედან, კვირაში ორ-სამჯერ.

— აბა, ყოფილა სამუშაო.

— სამუშაო თავზე საყრელია.

— მაშ, რა უშლის ხელს?

— ბევრი არაფერი, თალიდან გადმოწმენდილი მტვერი მეფოლადეებს აცვივათ თავზე. ამიტომ, თუ მათ სხვა საქმეზე წაუკრავ ხელს, სიამოვნებით ჩაგაწიკწიკებენ ჟურნალში, დღეს, ამა და ამ საათზე, ამა და ამ ღუმელის თალი გადმოწმინდაო.

— რაღაც არ მომწონს ასე მუშაობა, — გაუბედავად შევნიშნე მე.

— შეეჩვევი, — გულდინჯად მითხრა აზიზამ. — მეც შევეჩვიე. მეფოლადის მეორე თანაშემწედ ვმუშაობდი ადრე. ეს ოთხი თვეა, აქეთ გადმომიყვანეს. ის ბიჭი, წინათ აქ ვინც მუშაობდა, ჯარში გაიწვიეს.

— თალი ცოცხით უნდა გადმოვხვეტო? — ცოტა არ იყოს შეშფოთებით ვიკითხე, თალის ჭრილებში ცეცხლის ელვარე ენები რომ შევნიშნე.

— ცოცხით?! — აზიზამ ისეთი თვალით შემომხედა, შუა ყელში გამეჩხირა ნერწყვი. მკლავში ხელი გამომდო და საკაზმე ეზოსკენ წამიყვანა. იქ დამტვრეული ტანკის ნარჩენებზე ჩამოვჯექი.

— ერთ დროს ვაჟკაცებსაც შიშის ზარს სცემდა, — ხელი დაჰკრა ტანკის ნარჩენს. — ახლა... — აზიზა შეჩერდა, მეც არაფერი მითქვამს.

— ჰო, აი რატომ წამოგიყვანე აქეთ, — დაიწყო შემდეგ, — იქ წყნარად ვერ ვილაპარაკებთ, მით უმეტეს, ჯერ შეუჩვეველი ხარ. შარშანწინ გომაეალი ინჟინრები მოიყვანეს პრაქტიკაზე. გაწკეპილი ბიჭები იყვნენ, ჰაიჰარად დაბიჯებდნენ საამქროში. ჰო და, შიოს ხომ იცნობ, ცნობილ მეფოლადეს, მისი სურათი ყოველდღე იბეჭდება გაზეთში. აბა, ჯეელებოო, დაუძახა ერთხელ, უმაღლესი მარკის ფოლადი უნდა გამოვადნო და მომეხმარეთო. ბიჭებს გაუხარდათ, საქვეყნოდ სახელგანთქმულ მეფოლადეს ჩვენი ხელი დასჭირდაო. რითი მოგეხმაროთო, იკითხეს. აი, ის აგურები გადმოზიდეთ და ღუმელის წინ დააწყვეთ, მერე მე თითო-თითოდ ჩავუშვებ ნადნობში დუღილის დროსო, — უთხრა შიომ. მოიქაჩლეს ბიჭებმა თავი. ზიდეს და ზიდეს აგური. დაიქანცნენ, ოფლიც გვარიანად ღვარეს, შიო აქეზებდა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით და ეს აგური არ გადმოგეზიდათ, შევრცხვებოდიო. ჰოდა, წეღან რომ იკითხე, ცოცხით ხომ არ უნდა გადმოვწმინდო თალიო, მეფოლადეებს არ უყვართ ასეთი ხუმრობა.

— აბა, აგური არ სჭირდებოდა ფოლადის გამოდნობას? — ზრდილობისათვის ვიკითხე მე.

— ამაშია მთელი მარილი, — გაიცინა აზიზამ.

— ისე, შველის რამეს?

— რა?

— თალების გადმოწმენდა. სარგებლობა მოაქვს რამე, თუ სილამაზისთვის კეთდება?

— რას ამბობ. თალზე რომ მტვერი დაგროვდება, ჰაერის გამტარიანობა მცირდება და მაღალი ტემპერატურის ქვეშ მალე იწვება თალი.

— თუ მასეა, თანახმა ვარ.

— იმუშავებ?

— ვნახოთ.

ორი საათი მატარა აზიზამ საწყობებში, სატაბელეში, აღმრიცხველთან, უსაფრთხოების ინჟინერთან და ბოლოს, მოუდრეკავი მაუდის შარვალ-ხალათში რომ გამოვეწყვე, სათვალე და მტვერსაწმენდი ნიღაბი მომარგო და მითხრა:

— ჰო, მართლა, შენ აქაური არ უნდა იყო, ვისთან ცხოვრობ?

— ნათესავთან.

— ვაი სირცხვილო! — გაზვიადებით თქვა აზიზამ. — თუმცა, რა უშავს. პირველად მეც ნათესავებთან ვცხოვრობდი. მერე მოვაბეზრეთ თავი ერთმანეთს. თუ შენც ასე დაგემართა, მითხარი, ჩვენთან მოგაწყობ საერთო საცხოვრებელში. დამელოდები?

— არა, ვერ დაგელოდები. — ვთქვი და ტანსაცმლის გამოცვლას შევუდექი. თვალწინ საშვის ბიურო მედგა. მაუდგადაფარებული მაგიდის კიდით, მაგიდის კიდესთან...

საშვის ბიუროს სარკმელი, დაკეტილი დამხვდა.

* * *

— ჩამოდი, ბიჭო, ძირს!

— გამიშვი და ჩამოვალ.

ხელს მიშვებს და მაღლა მივცოცავ. იქ, ზემოთ, რკინის ლანდურებიც ცხელია, ბული და ალაო თვალებსა და ცხვირში მეფრქვევა. არც სათვალე შველის, არც მტვერსაწმენდი, მთელ სახეს რომ მიფარავს. უფრო მაღლა, ალბათ, უარესი სიცხე იქნება. უნდა ავიდე —

— უყურე ამას შენ! — მესმის ქვემოდან.

უცებ შარვლის განიერ ტოტში ხელი შემიყო და ფეხზე მიჩქმიტა. ტკივილი ტუჩების კვნეტით ჩავიხშე და ასვლა განვაგრძე. ქვემოთ შენიშნეს შაქროს ოინი და გაამხნევეს:

— მიდი, მიდი, შაქრო, — ყვიროდნენ. შაქრომ ისევ მიჩქმიტა. თუმცა წინანდებურად აღარ მეტკინა.

— რატომ ჩხუბობენ? — იკითხა ვიღაცამ ქვემოთ.

— რა ვიცით.

— მაშ, რა გაცინებთ?

მგონი, არავინ იცოდა, რატომ იცინოდნენ და სიცილი უცბად შეწყდა. მე დაბლა დავიხედე, ლანდურს ჩაფრენილი შაქროს ხელი მოვნახე და ფეხი ისე სწრაფად დავადგი ზედ, შეტოკებაც ვერ მოასწრო.

კვნესა შემომესმა.

ხელს არავინ მიშლიდა, კიბეზე სწრაფად ავცოცდი და ღუმელის თავზე გავიჭიმე. აზიზამ რაღაც მანიშნა დაბლიდან. საყრდენი მოვსინჯე, ფეხები გავჩაჩხე და საწმენდი მილი მოვიმარჯვე. დაწნეხილი ჰაერის ჭავლმა ხელიდან კინაღამ გამომტაცა რკინის ორმეტრიანი მილი. ერთბაშად ძნელი იყო იმ ჯოჯოხეთურ სიცხეში რაიმეს მოსაზრება, თუმცა, რატომღაც მომეჩვენა, რომ მილს თუ ვერ დავიმორჩილებდი, სამუდამოდ შევრცხვებოდი მეფოლადეთა წინაშე. ტკივილამდე დაძაბულმა ხელებმა თალის ქიმს მიუშვირეს მილი. ავარდა მტვერი და თალის კიდეზე მომდგარი შაქრო მოწითალო ფერის ბულში გაეხვია.

— ეს ვინ ყოფილა, ხალხო!

— აი, ბიჭი ამას ჰქვია!

— ყოჩაღი ჯეელი ჩანს! — ყვიროდნენ ქვემოთ.

გახურებული მტვერი ბოლქვებად მიიწევდა საამქროს მაღალი ჭერისაკენ. ცოცხალ არსებასავით ხტოდა ხელებში ჩაბღუჯული რკინის მილი, სტვენდა დაწნეხილი ჰაერი. თალის ზურგი ჯერ მოვარდისფრო გახდა, მერე სულ გაწითლდა, აელვარდა, ჭრილებს შორის ვხედავდი ღუმელში აბობოქრებულ ცეცხლის ქარიშხალს. ყოველივე ეს ისე ამაღელვებელი მეჩვენა, სულ გადამავიწყდა შიშიც და სიცხეც, თუმცა ამ უკანასკნელის დავიწყება არც ისე ადვილი იყო: მიხურდა ცხვირის ნესტოები, სახე, შუბლი, ხელის და ფეხის თითები, თვალებს მჭრიდა კაშკაშა ალი. რაც უფრო ეცლებოდა თალს მტვერი, მით უფრო, ხურდებოდა და აუტანელი ხდებოდა გარემო.

საქმეს გვიან მოვრჩი და ერთიანად გაოფლიანებული და სულთქვაშეკრული დავეშვი კიბეებზე.

შაქრო დაბმულივით დამხვდა კიბის ძირთან, ხუთიოდე სეირის მოყვარული გვერდით ედგა. შორიახლო აზიზაც შევნიშნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაქრო დაბალი ტანის ბიჭი იყო, ჩია; კეთილი თვალები ჰქონდა და სულ არ უხდებოდა გაბრაზება. გადავწყვიტე დამ[illegible] [illegible] თუ ისე, ის დამარცხებული იყო.

— სალახანა ხარ! — მითხრა და მამლაყინწასავით წამოიწია. — დამიხედეთ ერთი, ენთუზიასტი! ეუბნებიან ღუმელზე არ ახვიდეო და მაინც მიძვრება.

არაფერი ვუპასუხე.

— ენა გადაყლაპე? სამუშაოს შემდეგ შევხვდეთ! ალაპარაკდე იქნებ. — მე ისევ ვდუმდი.

— გეშინია? მე შენ გიჩვენებ, მხდალო!

— მორჩი ერთი! — საიდანღაც ჩემი უბნელი რეზო გამოჩნდა. რეზოს შორიახლო ვიცნობდი, დიდი ჩხუბისთავი იყო. არც კი ვიცოდი, აქ თუ მუშაობდა. — ხომ გამოიწვიე, ვნახოთ, რასაც უჩვენებ.

შაქრო დიდხანს არ დაცხრა. იმუქრებოდა — ცხვირს მიგინაყავო.

— დაეკეტათ ონკანი და გათავდებოდა საქმე, — ვუთხარი რეზოს და აზიზას, მარტო რომ დავრჩით.

— შაქროს კი უნდოდა, ხალხმა არ დაანება, თორემ. — თქვა რეზომ.

— ჰო, — დაეთანხმა აზიზა.

— ჰოო!? — ვთქვი მე.

— ეს გამარჯვებაა. — თვალი ჩამიკრა რეზომ. — წადი ახლა და იბანავე.

— მართლაც, — დაუმოწმა აზიზამ. — ყოჩაღი ბიჭი ჩანს.

აბანოდან რომ გამოვედი, რეზომ ორი დაძარღვული ბიჭი დამახვედრა. ზედვე ეტყობოდათ, დიდი ჩხუბისთავები რომ იყვნენ.

— ჩემი ძმაკაცებია, — ამაყად მითხრა რეზომ.

მე ბიჭებს ხელი ჩამოვართვი. მათ სახელები თქვეს, მეც წავილუღლუღე ჩემი. ასე მემართება ყოველთვის, როცა ავღელდები. ამ შემთხვევაში კი ასაღელვებელი საკმაოზე მეტი მქონდა — ახალგაცნობილთაგან ერთ-ერთი ის იყო, წარბებშესკვნილი, საშვის ბიუროს გოგონა რომ გააცილა.

— ვნახოთ ახლა, რა ხასიათზე დადგებიან შაქრო და მისი ძმაკაცები! — წაიტრაბახა რეზომ.

საიდანღაც აზიზაც გამოჩნდა. წელზევით შიშველი, გზადაგზა იცვამდა პერანგს.

ჩვენ გასასვლელისაკენ გავსწიეთ.

შაქრო არ მოვიდა.

* * *

ცისფრად შეღებილ ოთახის კარზე რიცხვი „24"-ია გამოსახული. აქ ჩვენ ვცხოვრობთ, უფრო სწორად, ცხოვრობდნენ სხვები და შევემატე მე, რაც აზიზას, რეზოსა და საერთო საცხოვრებლის კომენდანტის, ბიძია ბენიას ორსაათიანი მოლაპარაკების გარეშე არ გადაწყვეტილა. ბიჭებმა მთელი თავიანთი დიპლომატიური ნიჭი და ოქროპირობა გამოიყენეს ამ საქმის დასაგვირგვინებლად.

ჩვენ ხუთნი ვართ ოფიციალურად, ფაქტიურად კი ოთხნი ვცხოვრობთ. მეხუთე საწოლი ფანჯარასთან დგას, მუდამ ფაქიზად გაწყობილი და ხელშეუხებელი. მისი მფლობელი — ვინმე გახოკიძე ვიღაც ქალთან ცხოვრობს თურმე, მეცემენტეთა დასახლებაში.

ოთახის მამასახლისი ალექსი ხოხიაშვილი, რკინიგზის საამქროს მუშაა, ჯარგამოვლილია და ბევრის მნახველი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. ალექსის სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვა და ვეებერთელა ტანის უკუპროპორციული, ერთი ბეწო ლექსების წერა უყვარს. იგი ყოველთვის ჩვენზე ადრე ბრუნდება შინ და მოთმინებით ელოდება ჩვენს დაბრუნებას.

— მოხვედი? — მეკითხება ის და უჯრიდან ქაღალდებს იღებს. მერე ფანჯარასთან დგება და თვალებს ნაბავს.

— ჩვენი ბედი, რომ პოემების წერა არ ეხერხება, — წამჩურჩულა იუზამ. ალექსიმ მკაცრად გადმოგვხედა.

— ალექსი, ერთი შეკითხვა მაქვს, თუ შეიძლება? — ხელი აიწია ავთომ.

— შეკითხვები მერე იყოს, ნუ გაგვიფუჭებ ხასიათს, — გააპროტესტა იუზამ.

— თქვი, რა გინდა? — ნება დართო ალექსიმ.

— თუ კაცი ხარ, მასწავლე, — ტუჩები მოიბრიცა ავთომ, — თვალდახუჭული როგორ ახერხებ კითხვას?

— ასე უნდა ლექსს, — დინჯად თქვა ალექსიმ.

— საერთოდ, — საოცარი სერიოზულობით თქვა იუზამ, — კარგი იქნება თუ ამხანაგი ხოხიაშვილი ლექსების წერას, დაანებებს თავს.

— წეროს, რაკი ასე მოსწონს, — გამოესარჩლა ავთო.

— წეროს, თუ კი ლექსების წერა მაგის წერაა, მაგრამ ჩვენ მოგვასვენოს, თანაც გული მიკვდება, რედაქციებიდან, დაწუნებული ლექსების პასუხს რომ იღებს.

— ქვების სროლას, მაინც ასე სჯობს, — დაასკვნა ავთომ.

— სიბეცე მრავალგვარია, — მე მომმართა ალექსიმ, — ამას, — იუზასაკენ მიმითითა, — ჭადრაკისა და თავის ღამის ინსტიტუტის გარდა არაფერი ახსოვს. ეს ვაუბატონი კი... ეჰ, პოეზია უცხო ხილია მაგათთვის. პოეზია...

არ ვიცი, ალბათ, მეც არასაიმედო გამომეტყველება შემამჩნია, უცბად შეწყვიტა ლაპარაკი. დაიხარა, საწოლს ქვემოდან ყუთი გამოათრია, განჯინიდან მოზრდილი ქვაბი გადმოიღო და ლობიოს გადარჩევას შეუდგა. ყუთიდან პეშვით იღებდა ლობიოს მარცვლებს, დაკვირვებით ათვალიერებდა, სულს უბერავდა და ქვაბში ყრიდა. ჩვენ ხმაგაკმენდილები ვიჯექით და თვალს ვარიდებდით ერთმანეთს.

— ბანქოს თამაშს მაინც ასე მირჩევნია, — კარებში გასვლისას თქვა ალექსიმ. ცალ ხელში ქვაბი ეჭირა, მეორეში ჩაზვით და ნიორით სავსე თეფში.

— ნამდვილი გენიოსია, — თქვა იუზამ. — არაფრისთვის ამაზე მეტად არ გაბრაზდება.

— ჩამყენი კრეტინია და იმიტომ, — დაასკვნა ავთომ. — რა მაგის საქმეა ბანქოს ვითამაშებ, თუ ეიფელის კოშკიდან გადმოვხტები.

— შენ ვინლა გეკითხება აბა, ლექსებს დასწერს თუ, შენი არ იყოს, მართლა ქვების სროლას დაიწყებს.

— ა, უყურე ახლა ამათ? — ხელები გაასავსავა ავთომ. — ბიჭო, მე არ ვთქვი, წეროს რამდენიც სურს-მეთქი?

— თქვი და არ მიიღო, — უხალისოდ თქვა იუზამ.

— არ მიიღო, დამთხვეულია და იმიტომ.

იუზას არაფერი უპასუხნია, ფანჯარასთან მივიდა და ჭადრაკის დაფა გაშალა.

— მოდი! — დამიძახა მან.

თამაში დავიწყეთ. ავთო ოთახში დაბორიალებდა და ფანჯარასთან მიმწყვდეული ბუზივით ბზუოდა. ზღურბლზე ალექსი გამოჩნდა.

— ზეთი არა გაქვთ? — დაიძახა.

— რაც შენ ცხვირპირზე ზეთი დაგდის, კიდევ ზეთს თხოულობ? — უნიათოდ გაიღიმიჰა ავთო.

მომეჩვენა, რომ მთელი საუკუნე გავიდა, სანამ ვინმე რამეს იტყოდა. ავთოს ნათქვამს წამიერი, მაგრამ, მომქანცველი პაუზა მოჰყვა.

— განჯინაშია, ნახევარლიტრიანში, — ჭადრაკის დაფიდან თავაუღებლივ თქვა იუზამ.

ალექსიმ ბოთლი აიღო და გავიდა.

— პური მოიტანეთ, რა — შემოგვძახა.

— მოვიტანთ, — დაადევნა იუზამ და ხელი ჩამომართვა. მომიგო.

— აჰარბებ, — ვუთხარი ავთოს.

ავთომ თვალები მოჭუტა და შემომხედა.

— რაო?

— როგორც გაიგე, და, საერთოდ, ხუმრობა არასოდეს გადაზარდო შეურაცხყოფაში.

ავთო უცბად წამოენთო, შევამჩნიე რომ ნაბიჯის გადმოდგმა უნდოდა, თუმცა თავი შეიკავა და ასე მოშვილდული გაირინდა ადგილზე. მივხვდი, რომ ავთოსათვის რაღაც სხვანაირად უნდა მეთქვა ეს დიდაქტიკური ტირადა.

— აი, მასწავლებელი! — ავთომ ტყვია ჩაალვენთა სიტყვაში, ხელი ჩაიქნია, შებრუნდა და გავიდა.

„ავთო რომ არა, ჩვენი ოთახი ბედნიერების სავანე იქნებოდა", გამიელვა მე. აქამდე აზრად არ მომსვლია, სერიოზულად დავფიქრებულიყავი იმაზე, მოქმედებდნენ თუ არა ჩემზე სხვები, ან მე თუ ვახდენდი რაიმე ზემოქმედებას სხვის გუნება-განწყობაზე.

**(გაგრძელება იქნება)**

# წაუკითხეთ პატარებს

ვახტანგ ძნელაძე

## რა ახარებს სოფიკოს

რა ახარებს სოფიკოს? —
დაახალეს თოფი ქორს.

განგმირული ყაჩაღი
დაენარცხა მსხლის ძირას;
მისი ბასრი ბრჭყალები
ასცდა სოფოს წიწილას.

სიხარული ამღერებს
გოგოს თვალებციმციმას;
კოცნის, გულში იხუტებს
გადარჩენილ წიწილას.

ბეჟან სვანიძე

## რასაც ვლანძღავთ მელაკუდას...

რასაც ვლანძღავთ მელაკუდას,
რომ მიქონდეს ყველა გულთან,
ახლოსაც არ გაივლიდა
ქათამთან და ინდაურთან!

## შურიანი

გამოფინა ტბის პირას
კრუხმა ასი წიწილა,
ერთმა ავმა ქორორამ
დობილს ჩაუსისინა:

ჩვენ რომ ყველამ გავაჩინოთ
თითომ ასი წიწილა,
მაშინ ვიღა დაეტევა
ამ პატარა ტბის პირას?

## ბიჭი და მერცხალი

— ჩვენს ახალ სახლზე მერცხალო,
მითხარ, ბუდეს რად იკეთებ?
— უნდა ვუმღერო ამ სახლში
მშვიდობას, შრომას, სიკეთეს...
ამისთვის მოველ აქ, თორემ
ყველგან ვნახავდი ცივ კედელს.

ალექსანდრა ჟუონია

## დედაენა

„დედაენა" შემიყვარდა,
შევისწავლე უკვე „ია",
ასე კარგად ვინ მოხატა? —
ყველა წიგნზე ლამაზია!

თამარ ზამთარაძე,
აგარის საშუალო სკოლის მოსწავლე.

## ჩვენი დილა

ცა ლურჯია, მოკამკამე,
არსად არ ჩანს ღრუბლის ფთილა.
ამოცურდა მზე ბრწყინვალე,
ამოშუქდა ჩვენი დილა.

აშრიალდა ველ-მინდორი,
ამოდუღდა ოქროს წყარო,
და ტოროლა საყვარელი
უთენია ცაში გალობს.

მზეს უმღერის ყველა ბავშვი,
მშვიდობაზე მღერის ყველა:
დაე, ჩვენს ცას გადაეჭდოს
ეს მშვიდობის ცისარტყელა!

ზოია ვაშაკიძე-მაჟავარიანი

## პეპლებს

სიყვარულის სადღეგრძელოდ
ამივსია ლექსის სურა,
ეს თქვენა ხართ, თუ მიწაზე
ვარსკვლავები ჩამოსულან?
მთიდან ანცი ჩანჩქერები
მწვანე ხევში მიცვივიან,
ეს წვეთების ჩხრიალი თუ
თქვენი ლაღი სიცილია?
სით ლხენით შარიშურობს,
მზე ღიმილის ზღვაში ცურავს.
იშრიალეთ, ხვალინდელ დღის
სიმწვანედ და გაზაფხულად!
როს ყვავილებს სცვივა ფიფქი,
დილა აღებს ცისკრის ფანჯრებს,
ჩვენი ფიქრი — დედის ფიქრი
თქვენს მშვიდობას უდარაჯებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩამოსხმის ხაზი

# ყველაფერი ბავშვებისათვის

ქართლის გულში, ლიახვის მარჯვენა ნაპირას, ხელისგულივით გადაჭიმულ ვაკეზე, სამოციანი წლების დამდეგს აშენდა ჩვენი რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის ერთ-ერთი დიდი საწარმო — გორის საკონსერვო ქარხანა. გორული ხილ-ბოსტნეულის კონსერვებმა მალე გაითქვა სახელი ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში.

უკანასკნელ წლებში გორული მარკით გამოვიდა ახალი პროდუქცია, რომელსაც განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიყვარულით ამზადებენ მეკონსერვეები და ბევრ მადლობასაც ხლებენ.

„პატივცემულო ამხანაგო დირექტორო! მოგილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კეთილდღეობას. მადლობელი ვართ თქვენი გემრიელი კონსერვებისათვის, განსაკუთრებით შაქრიანი ვაშლის ჰომოგენიზებული პიურესათვის. აქ, ჩრდილოეთშიც ვიგრძენით შესანიშნავი კავკასიური ვაშლის გემო“ — იწერება სვერდლოვსკელი ნ. იუდოვიჩი.

...და ჩვენც გემრიელი კონსერვების საამქროში ვართ, სადაც ყველაფერი ბავშვებისათვის მზადდება.

იგი ერთადერთია მთელს რესპუბლიკასა და ამიერკავკასიაში.

აქ თავდაპირველად მწვანე ბარდის, ვაშლისა და სტაფილოს პიურეს უშვებდნენ მხოლოდ. დღეს კი თორმეტი დასახელების კონსერვი მზადდება, ესენია: ვაშლის, ატმის, ქლიავის წვენი, ქლიავის პიურე და სხვა. მიმდინარე წელს მათ შეემატება ციტრუსების წვენიც.

კონსერვის მაღალი ხარისხისათვის ზრუნვა ნედლეულის მისაღები განყოფილებიდან იწყება... დიდრონ ყუთებში მაღალხარისხოვანი გორული ვაშლებია ჩალაგებული, აქედან ისინი ნედლეულის დამმუშავებელ ტექნოლოგიურ ხაზზე გადადის, სადაც მანქანებით ასუფთავებენ და რეცხავენ.

კომუნისტმა მუშებმა ლამარა მაღრაძემ და ლამარა ბუხრაძემ იციან, რომ ნედლეულის წესიერად დამუშავებაზე დიდად არის დამოკიდებული პროდუქციის ხარისხი. ამიტომ გულდასმით ასუფთავებენ და რეცხავენ ხილს.

საინსპექციო კონვეიერზე მუდამ წესრიგია. პატარა შეფერხებაც რომ იყოს, დაბრკოლდება გეგმების და ვალდებულებების შესრულება.

— მოთხოვნილება საბავშვო კონსერვებზე თანდათან იზრდება, — გვეუბნება საამქროს უფროსი სოსო ელიავა, — ხუმრობა ხომ არ არის, ჩვენი მომხმარებლები არიან არა მარტო ის ბავშვები, რომლებიც „ლასტობანას“ თამაშობენ, არამედ ძუძუთა ბავშვებიც... ექვსი თვის ასაკიდან უკვე შეიძლება მიეცეს ჩვილებს ჩვენი პროდუქცია.

სახარშ განყოფილებაში, სადაც შარშან ახალი დანადგარები გამართეს, ძველი მუშამხარშავი სერგო მაყიშვილი შეგვხვდა. ეს

ჭარმაგი კაცი ისეთი სიყვარულით ლაპარაკობს თავის შრომაზე, თითქოს საკუთარ შვილიშვილებს უმზადებს პირის ჩასატკბარუნებელს. ამ განყოფილებაში გათუთქული ვაშლი თვითმცლელის დახმარებით გამხეხ მანქანაში გადადის. ახალმა სრულყოფილმა დანადგარმა პიურე, პროფესიული ენით რომ ვთქვათ, უფრო „ერთგვაროვანი" გახადა. გახეხილ ვაშლს ვაკუუმაპარატები ელოდებიან, პიურეს ურევენ მაღალკონცენტრირებულ ბადაგის ხსნარს... ეკატერინე მჭედლიშვილის შემზადებულ ხსნარზე ორი აზრი არ არსებობს. შემდეგი ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც მეტად საპასუხისმგებლოა, ე. წ. პიურეს გაფრქვევა (ჰომოგენიზაცია) გახლავთ. ბადაგიანი ვაშლის პიურე მაღალი წნევის ქვეშ ხვდება და გადადის ვაკუუმაპარატში, სადაც ჰაერს გამოაცლიან და სამოცდაათ გრადუსამდე გააცხელებენ. შემდეგ ვაკუუმაპარატიდან მილით მიედინება ვაშლის მასა, რომელიც 200-გრამიან ქილებში თავსდება. საბოლოოდ ქილა იხუფება, უკეთდება სტერილიზაცია, ეკვრება იარლიყი და პროდუქცია მზად არის.

და ასე, ყოველდღიურად ცვლაში ორმოცი ათასი ორასგრამიანი ქილა მზადდება.

ზურაბ კიკნაძე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტდამთავრებული, რომელმაც ამ ქარხანაში გაიარა გზა რიგითი მუშიდან ცვლის ინჟინრამდე, ცვლის წარმატებებისათვის იღწვის. ცვლის მუშაობაზე დამოკიდებულია საამქროს, მთელი ქარხნის მუშაობა. სწორედ ამიტომ, ზურაბის ცვლამ პირველმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება საამქროში და შეჯიბრებაში გამოიწვია მერაბ ჯავახიშვილის ცვლა. საამქრო ყოველი თვის გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ასევე გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს ცვლები და ცალკეული მუშები.

საბავშვო კონსერვების საამქრო სატომატე საამქროს ეჯიბრება. განსაკუთრებით დაწინაურდნენ შრომაში საბავშვო კონსერვების საამქროს კომკავშირელები — ჩამომსხმელ ხაზზე მომუშავე მარინე მახაშვილი, პროდუქციის გამტანები ჯემალ რაზმაძე და ჯემალ მურადაშვილი.

შარშან საამქროს ბავშვებისათვის 4. 350 000 პირობითი ქილა კონსერვი უნდა გამოეშვა, გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. წელს 4.500.000 ქილა კონსერვი უნდა დაამზადონ. ეჭვი არ არის, რომ ეს გეგმაც შესრულდება. ამის პირობას იძლევა კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქრო.

...ჩვენთან, ხილით განებივრებულ სამხრეთში, საბავშვო კონსერვის პოპულარობა ისევე დიდია, როგორც შორეულ ჩრდილოეთში. სწორედ ეს არის გორელ მეკონსერვეთა გამარჯვება.

...ვტოვებთ ქარხნის ტერიტორიას. სოსო ელიავა იმეორებს ქარხნის დირექტორის — გენო ბექაურის გულისტკივილით ნათქვამს: „ზოგიერთი დედა კიდევ ეჭვის თვალით უყურებს საბავშვო კონსერვს და ვერ დაუძლევია თავისი უსაფუძვლო შიში".

გვჯერა, ეჭვები მალე გაიფანტება...

**ქ. კალანდაძე**



ლაბორანტი ნათელა ზაბილონი, საამქროს უფროსი სოსო ელიავა და ცვლის ინჟინერი ელისო ადუაშვილი.



მოწინავე მუშა ნინო მაჭარაშვილი



მოწინავე მუშა მანანა ბერიკაშვილი



# მაიას მოგება უყვარს

ბევრი გოგონა. ჭადრაკის თამაშს რომ დაიწყებს, ოცნებობს ნონა გაფრინდაშვილობაზე. მასთან თამაშზე ფიქრი კი შეუძლებლად მიაჩნია. მაგრამ რვა ნიჭიერ თბილისელ გოგონას ბედმა გაუღიმა — ტელევიზიამ ისინი ნონა გაფრინდაშვილთან შესახვედრად მიიწვია. გოგონების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩემპიონის ერთდროული თამაშის სეანსი საათებით, მათთვის დიდი გამოცდა იყო, რომელსაც მილიონობით ტელემაყურებელი „დაესწრებოდა“.

პაექრობა თითქმის მთელ საღამოს გაგრძელდა. თამაშის უჩვეულო პირობებმა: უხვმა სინათლემ, ტელეოპერატორებმა და კამერებმა ზოგიერთი შეაკრთო, მხოლოდ მაია ჩიბურდანიძე არ ღელავდა. იგი დაფაზე გაჩაღებულმა შეუპოვარმა ბრძოლამ გაიტაცა.

ჭადრაკის დედოფალი სწრაფად თამაშობდა, მაგრამ ხშირად მაიას დაფასთან დიდხანს ჩერდებოდა. ბრძოლამ რთული პრობლემები წამოჭრა.

ნონას რაღაც გამორჩა, ნორჩმა მოჭადრაკემ მყისვე კომბინაცია განახორციელა და მრისხანე ჩემპიონს ლაზიერი მოუგო. ნონამ გაუღიმა მაიას და მილოცვის ნიშნად ხელი ჩამოართვა. გოგონას ალმური მოედო. ეს იყო ნონას ერთადერთი წაგება იმ საღამოს.

— მაიას თამაშმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი კიდევ უფრო დაოსტატდება. ნიჭი აქვს და გულმოდგინედ უნდა იმეცადინოს, — თქვა ჭადრაკის დედოფალმა.

ფართო საზოგადოება სულ მალე დარწმუნდა ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში. გამოცდილ ოსტატებთან და ოსტატობის კანდიდატებთან ბრძოლაში მაია ჩიბურდანიძემ თბილისისა და საქართველოს ქალთა პირველი თასები დაისაკუთრა. მერე თბილისის ქალთა ჩემპიონატში მეორე-მესამე ადგილები გაიყო, რითაც საქართველოს ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირსა და რესპუბლიკურ ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა.

ნონასთან შეხვედრამდე მაიამ კიშინიოვში საბჭოთა კავშირის მოსწავლე გოგონათა ჩემპიონატში ითამაშა და მესამე ადგილი დაიკავა (გამოუცდელობა რომ არა, ჩემპიონიც გახდებოდა), მერე კი თბილისში, საზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. ამ ტურნირში მაიამ ყაიმით დაამთავრა პარტია მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტთან — ტ. ზატულოვსკაიასთან, სძლია ოსტატ ნ. ტიტორენკოს.

მაია უკვე საჭადრაკო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა.

მაია ჩიბურდანიძე ჯერ 12 წლისაა, თბილისის I-ლი საშუალო სკოლის მეხუთე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. ჭადრაკი რვა წლისამ ისწავლა ქუთაისში, სადაც მამამისის, აგრონომ გრიგოლ ჩიბურდანიძის ოჯახი ცხოვრობს. სვლები ძმამ ასწავლა, უფრო საფუძვლიანად კი თამაში პიონერთა სახლში საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა დავით ჩირაძემ გააცნო. ერთ წელიწადში ახალბედა, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე გახდა. ცხრა წლისა უკვე მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში მონაწილეობდა. ინტენსიურმა თამაშმა გოგონაში ნიჭი გააღვიძა, მან შეისისხლხორცა ბრძენთა თამაში, სკოლაში კი კვლავინდებურად ბეჯითად სწავლობდა. არც ცურვა და ბადმინტონი მიუტოვებია. კვლავ გატაცებით კითხულობდა წიგნებს. მერე ქუთაისელ მწვრთნელ გიორგი ქანთარიასთან მეცადინეობდა, შარშან სექტემბრამდე, თბილისში გადმოსვლამდე კი — ისევ დავით ჩირაძესთან.

— ქუთაისში ბავშვი ველარ დაოსტატდებოდა, შესაფერი მეტოქეები არ ჰყავდა, ამიტომ ოჯახი დროებით მივატოვე, სკოლაში აკადემიური შვებულება ავიღე და მაიას თბილისში გამოვყევი. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით, — გვითხრა მაიას დედამ ნელიმ, ქუთაისის 27-ე საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელმა.

მაიას სიბეჯითე კარგად გამოიყენა გამოცდილმა მწვრთნელმა, ოსტატმა იური ჩიქოვანმა. მუყაითობას სასახელო წარმატებები მოჰყვა.

ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც თავის მოწოდებას მიაგნებს. როგორც ჩანს, პატარა მაიამაც სწორი გზა აირჩია. რა თქმა უნდა, მწვერვალები ჯერ შორსაა, მათ დასაპყრობად დიდი შრომა, მოთმინება, კლდოვანი ბილიკების გავლაა საჭირო. ეს იცის მაიამაც და ამიტომაც თავდადებულად მეცადინეობს.

— მე ბრძოლა და მოგება მიყვარს, — მითხრა ერთხელ მაიამ. ამ სიტყვებშია მისი საჭადრაკო მრწამსი და მომავალ წარმატებათა საწინდარი.

ვუსურვოთ მაიას მუდამ გამარჯვება!

**თენგიზ გიორგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვასილ გვეტაძე**

## მე ახლა მათზე სიმღერა მინდა

*ქართულ ყამირზე მიმავალ გოგონებს*

მინდვრებში კარვებს გაშლიან მალე,
და რადგან თვითონ გულმა ინება,
მთელი დღე ველზე ნაჯაფარ ქალებს
ღამე სიამით მიგეძინებათ.

აქ არც ქუჩაა გაშლილი, ფართო,
არც პროსპექტია საოცრად გრძელი,
და სიცხით დახშულ სმენას ვერართობს
ჭრელ-ჭრელ კაბათა შრიალი ნელი.

დაგშვენდებოდათ თქვენ ნაკლებ, განა,
რომ დრო მოგეკლათ გამზირის გულზე,
სადაც ნაცნობი ჭადრები დგანან
და კაცს ლაჟვარდი შიგ სულში უმზერს?

შავი ზღვის პირიც კარგია, მგონი,
ან საირმე და წაღვერი მწვანე;
თითქოს ზეცაა მოლურჯო ბროლი
და ტყის სიღრმეში საკმეველს წვავენ.

თქვენ კი დატოვეთ დღეები მშვიდი
და ხელმოჩრდილვით გაჰხედეთ მინდორს,
რადგან თქვენს ახლო ყველაზე დიდი,
ყველაზე სუფთა სიცოცხლე მკვიდრობს.

არც ხელისგული იქნება რბილი,
არც გაშტერდება თვალი მილევით.
კარვიდან ადრე გამოხვალთ დილით
თავსაფრიანი ქალიშვილები.

და გაიშლებით ყვავილთა დარად,
ვიდრე მზე ცაზე სხივს ამოხლართავს...
ო, თქვენი ერთი შეხედვა კმარა,
რომ დაიჯერო სიცოცხლე მართლა;

რომ მიხვდე, ქვეყნად ვინაა ღირსი,
შრომით ნაშოვნი გატეხოს ლუკმა,
და დაინახოს ცხოვრება მისი
კვალდაკვალ მდევარ დღეების უკან!

# დოდო ვადაჭ-კორია

საბავშვო წიგნის თაროზე დოდო ვადაჭკორიას პატარა წიგნებმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა.

მწერალმა ახლახან კიდევ ერთი ფერად-ნახატებიანი წიგნით გაახარა თავისი ნორჩი მკითხველი, ეს გახლავთ ზღაპარი „ბროლის ციგა". პატარაა ეს ზღაპარი, სულ ოთხიოდე ფურცელია, მაგრამ საბავშვო წიგნის ძალა ფურცლობით ხომ არ იზომება? სიკეთე კი დიდი ჩააქსოვა მწერალმა. — დედაშვილობის წმინდა გრძნობით აანთო ზღაპრის გმირი გოგონასი და მისი თანატოლი მკითხველის გული!

პაპამ ნათიას ტყიდან პატარა ნაძვისხე მოუტანა, იფიქრა: გავახარებ ჩემს შვილი-შვილსო, მაგრამ არა, არ გაუხარდა გოგონას ეს საჩუქარი, ძილში ჩაესმა ნაძვის ქვითი-ნი — დედასთან განშორებას მოთქვამდა საბრალო.

ნათიამ შეიტყო თუ არა ნაძვისხის ნაღვე-ლი, უმალ დიდედასეულ შალში გამოეხვია, თხილამურებზე შედგა, ნაძვი მხარზე გაი-დო და ტყის გზას დაადგა. გოგონას კეთილ-მა ზრახვამ ყინვას სუსხი დაუკარგა, ქარს ფრთები დაუმოკლა და ტყის ყველა ბინადა-რი სასიკეთოდ აამოქმედა.

ეს ზღაპარი პატარებს ძალიან მოსწონთ. მოსწონთ, რადგან მწერალმა კარგად იცის, რაზე მოუთხროს ნორჩებს და როგორ მოუ-თხროს. ზღაპარი გაზვიადებული არაა ზედ-მეტი ჩართული ამბებით, ჩანაფიქრი ნათე-ლია, გამოკვეთილი: ესაა პოეტური ამბავი სიკეთის მთესველი გოგონასი. ამბავი და არა „მშრალი" ნაამბობი. ამაშია ამ პატარა წიგ-ნის საიდუმლო.

ზღაპარში საამო ფერი ტრიალებს, საამო სიო სისინებს. ეს არის მოძახილი მეგობრო-ბაზე, გულადობაზე, იმ კეთილ თვისებებზე, თავიანთი უხილავი გზებით თავისთავად რომ მოედინებიან ბავშვის სულისა და გულისა-კენ.

დედაშვილობის გრძნობას მწერალი სხვა თავის მოთხრობებშიაც უბრუნდება. დედა-შვილობა პირველი თემაა მისი შემოქმედე-ბისა. ეს გრძნობა ყოველი სიკეთის დვრი-ტაა და ამ სიკეთის გაღვივებას ემსახურება ეს პატარა წიგნიც.

დოდო ვადაჭკორია ნოველებსაც წერს. თავის დროზე მისმა კრებულმა „გაზაფხუ-ლი, მზე და სიყვარული" კეთილი გამოძახი-ლი ჰპოვა, მაგრამ ამჯერად, ჩვენ მაინც პა-ტარა მკითხველების მშობელთა სახელით გვინდა მივულოცოთ მას დაბადების 50 წლისთავი.

ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით ზრდას.

**ქეთევან ჩილაშვილი**



მეურნეობის მუშა მერი ლუჰაშვილი

# მარტყოფელთა სარგი და ავი

ვრცელი და ხალხმრავალია სოფელი მარტყოფი. აქ 2.500 კომლი სახლობს. სოფლის ყოფას მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა აძლევს ტონს. ამ ბოლო დროს მეურნეობამ ჩამორჩენილობას თავი დააღწია და გარდაბნის რაიონის მოწინავე მეურნეობათა რიგებში ჩადგა. შარშან ბოსტნეულის, ხილის, ხორცისა და რძის წარმოების გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებანი პირნათლად გაანაღდეს. თავდადებული შრომით ბევრმა მეურნემ ისახელა თავი. მეექვსე ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ჩიტრეკაშვილი) 117 პროცენტით შეასრულა პროდუქციის წარმოების გეგმა. მოწინავენი არიან სამსამი შვილის დედები —ეთერ ტოტიკაშვილი და მერი ლუჰაშვილი. ეთერი შრომის წითელი დროშის ორდენით არის დაჯილდოებული, მერი — „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

შარშან მეურნეობამ პირუტყვისათვის უხვი საკვები ბაზა შექმნა. მეურნეთა მიერ დამზადებულია 2.332 ტონა თივა, 1.450 ტონა ნამჯა, 5.800 ტონა სილოსი, 200 ტონა სენაჟი. აქაური მეურნეები კვლავაც ვარაუდობენ უხვი საკვების დამზადებას, რაც პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის საწინდარი იქნება.

წარმატებები განაპირობა შრომის მტკიცე დისციპლინამ, ბრიგადებსა და ცალკეულ მეურნეთა შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ფერმებში გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რაც ძირითადად შრომის კარგი ანაზღაურების შედეგია.

— სამდურავი არ გვეთქმის, თუ აქამდე მარტო სამწყემსურის საფასურს გვიხდიდნენ, ახლა პირუტყვის მოვლის ფასსაც გვინაზღაურებენო, — თქვეს მწყემსებმა. აქვე ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ: მეურნეობაში მწველავის შრომის ანაზღაურება ხდება ჩამოწველილი რძის მიხედვით, რაც ვფიქრობთ, სწორი არ არის, რადგან ჯიშიანი პირუტყვი ორ-სამჯერ მეტს იწველის, ვიდრე უჯიშო, მიუხედავად იმისა, რომ ორივეს თითქმის ერთნაირი მოვლა სჭირდება. შრომის ასეთი ანაზღაურება, როგორც ჩანს, აფერხებს ფერმებში მექანიზაციის დანერგვასაც. მწველავები ხელით წველას ამჯობინებენ, რადგანაც ფიქრობენ, რომ ხელით მეტ რძეს ჩამოწველიან, ვიდრე საწველი აპარატურით. თუმცა ზოგიერთ ბრიგადას ეს აპარატურა არც კი გააჩნია.

ფერმებში თითქმის გამოყენებული არ არის ქალის შრომა. ეს, ალბათ, იმიტომაც, რომ აქ მუშაობის მძიმე პირობებია. მწველავები ერთსდაიმავე დროს მწყემსებიც არიან, მომვლელებიც და ღამის დარაჯებიც. ამასთან მათ შრომისა და დასვენების სათანადო პირობებიც არა აქვთ შექმნილი; ზოგიერთ ფერმაში მწყემსებს არამც თუ ბინა, საკუთარი კუთხეც კი არ გააჩნიათ. ისინი მთელი დღე პირუტყვის სადგომში ტრიალებენ და ღამითაც პირუტყვის გვერდით იძინებენ. მეორე ბრიგადის ჯიშიანი პირუტყვის ფერმაში მწყემსებს მშვენიერი ოთახი აქვთ. შიგ დგას მაგიდა, სკამები, საწოლი, ღუმელი და ტელევიზორიც კი, მაგრამ, ზამთრობით ოთახი არ თბება, ამიტომ ისინიც პირუტყვის თბილ სადგომში ამჯობინებენ ყოფნას.

გასაგებია მეურნეთა ჩივილი: — მეურნეობაში მარტო მოხუცები და ინვალიდები დავრჩით, ჯანღონით სავსე ახალგაზრდები სათოფეზე არ გვეკარებიანო. მართლაც, 520 მეურნე სოფლის მცხოვრებთა უმცირესობას შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძლივს ართმევენ თავს მეურნეობის საქმეს, ამ ვეებერთელა სოფლის მოვლა-პატრონობაც მათ ეკისრებათ. მეურნეობის საფიქრელია სასოფლო გზების შეკეთება, მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა, სოფლის გზების განათება, ბაგა-ბაღებისა და კულტურულ-სამეურნეო დაწესებულებათა შენობების მშენებლობა და სხვა. წელს მეურნეობა სოფელს 1.200-ადგილიან სკოლის შენობას ჩააბარებს. ახალი წყალსადენი სოფლის თორმეტივე უბანს დააკმაყოფილებს.

მუშახელი აკლია მეურნეობას, ახალგაზრდებს სოფელში გული არ უდგებათ. მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ მათ არა აქვთ სპორტდარბაზი, არც სპორტული მოედანი, კულტურის სახლში კი ზამთრობით სიცივის გამო კინოფილმებსაც ვერ ესწრებიან.

მარტყოფელ ქალებს შექმნილი არა აქვთ სათანადო სამუშაო პირობები. არ არის ბაგა, რის გამოც ჩვილ ბავშვთა დედებს საშუალება არა აქვთ იმუშაონ მეურნეობაში. სოფელი მოკლებულია საყოფაცხოვრებო მომსახურებას, არ არის სამრეცხაო, ქიმწმენდის პუნქტი, ქალთა სამკერვალო ატელიე, ქალთა საპარიკმახერო, ხოლო აბანო, რომელიც ერთ დროს მუშაობდა, ოთხი წელია ტექნიკური მიზეზების გამო გაუქმებულია. ცუდად მუშაობს სატელეფონო ქსელი და საფოსტო განყოფილება. მოსახლეობა 2-3 დღის დაგვიანებით იღებს ჟურნალ-გაზეთებს. სოფელს აწუხებს სარწყავი წყლის ნაკლებობა. არხის საშუალებით ირწყვება მეურნეობის მიწები, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთები არა, რის გამოც მარტყოფელებს ეზოებში პატარა ბაღჩა-ბოსტანიც კი ვერ გაუშენებიათ. ეს კი სოფელს სახეს უკარგავს. სხვაც რომ არა იყოს რა, სამწუხარო ის არის, რომ გლეხკაცი მწვანილს თბილისის ბაზარში დაეძებს.

ნუთუ ასე ძნელია წყალსაქაჩავების მოწყობა და სოფლისათვის სარწყავი წყლის მიწოდება? რა თქმა უნდა, არა, თუ სათანადო ორგანოები სოფლის სამართლიან მოთხოვნას ანგარიშს გაუწევენ.

**მარიკა გვიმრაძე**



# ჩვენს მეგობრებთან

ამ სამი წლის გოგონას მზერა გულს დაგიკოდავს და სამუდამოდ დაგამახსოვრდება. არაბავშვურად სერიოზული, ჩაფიქრებული. ნაღვლიანი, თითქოს რაღაცის მომლოდინე და უმწეო. ეს თვალები თითქოს თქვენს სულის სიღრმეში იხედებიან, რაღაცას გეკითხებიან და პასუხს ელიან, თვალები ბავშვისა, რომელმაც არსებობის პირველი დღეებიდან განიცადა მშობლებისაგან მიტოვების სიმწარე. ამ მზერას ვერსად გაექცევი!

ეს გოგონა ერთი პირველთაგანია, ვინაც დოუბიში თავისი ოჯახი ჰპოვა.

უსახლკარო ბავშვები! ბავშვები, სხვადასხვა მიზეზით ოჯახურ სითბოსა და სიმყუდროვეს დანატრებულნი, მოკლებულნი ყველაფერ იმას, რასაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი მოქალაქის პიროვნების ფორმირებაში.

დაობლებული, მიტოვებული, ან კიდევ უარესი, არანორმალურ, ბავშვის სულის დამამახინჯებელ ოჯახურ პირობებში გაზრდილი, პათოლოგიური მშობლების — ალკოჰოლისტების, ნარკომანების, ბოროტმოქმედთა შვილები...

ისინი მრავალზე მრავალნი არიან მოგებისა და ძალადობის სამყაროში — კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთანაც მოიპოვებიან.

ჩვენში თვით სახელმწიფომ აიღო თავის თავზე მიტოვებულ ბავშვთა უფლებების დაცვა. შვილად აყვანა, მეურვეობა, ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატების, სპეციალური დახურული სამკურნალო სასწავლებლების გახსნა და სხვა მრავალი ღონისძიება სწორედ იქით არის მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი სიხარული გამოსცადოს მიტოვებულმა ბავშვმა.

სოციალისტური ქვეყნებისა და, მათ შორის, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ასობით ბავშვთა სახლია აშენებული, ათასობით ბავშვმა, ობოლმა, ნახევრადობოლმა ამ სახლებში მზრუნველობა და ყურადღება იგრძნო, რაც ასე აუცილებელია ბავშვის ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის. უნდა ითქვას, რომ ეს საქმე ჩეხოსლოვაკიაშიც საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. თითქოს მიტოვებულ ბავშვთა დაცვის პრობლემა მოგვარებულია, არა?

მაგრამ მეცნიერების — ფსიქოლოგთა, პედიატრთა, ფსიქიატრთა, პედაგოგთა შემოქმედებითი აზროვნება მიღწეულს არ სჯერდება. წლების მანძილზე ეძებენ ისინი ახალ, უფრო სრულყოფილ, მეცნიერულად დასაბუთებულ ფორმებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა საკუთარ ოჯახსმოკლებულ ბავშვთა აღზრდაში.

ამ ძიებების შედეგად აღმოცენდა ჩეხოსლოვაკიაში, კურორტ კარლოვი ვარის მახლობლად მდებარე სოფელ დოუბიში 1970 წელს პირველი „ბავშვთა სოფელი". მოდა, დღეს ჩვენ გვსურს გიამბოთ ამ სოფლის შესახებ, ჩვენი მეგობრების ექსპერიმენტების შესახებ, რადგან ეს ცდები ზედმიწევნით საინტერესო და თავისებურია და აღელვებს ყველას, ვისაც არ შეუძლია გულგრილად მოეკიდოს მიტოვებულ ბავშვთა ხვედრს.

ამ პატარა სოფელში (ჩეხოსლოვაკები მას უწოდებენ „სოს დეტსკა ვესნიჩკა") სულ თორმეტი ორსართულიანი კოტეჯია, თანამედროვე არქიტექტურული სტილით ნაშენები, სადა, მოხერხებული ავეჯით გაწყობილი და აღჭურვილი ყველა იმ საოჯახო ნივთით, რაც მრავალშვილიან ოჯახს ესაჭიროება: ხორცსაკეპი თუ საკერავი მანქანით, წვენსაწურითა და მტვერსასრუტით...

თითო კოტეჯში თითო ოჯახი ცხოვრობს: ვთქვათ, დედა რვა შვილით, რომელთაგან უმცროსს ექვსი თვე სულ ახლახან შეუსრულდა, უფროსი კი თხუთმეტი წლისაა.

ამ ბავშვების უმრავლესობა სხვადასხვა მშობლების შვილები არიან, მაგრამ, ზოგიერთ ოჯახში ღვიძლი და-ძმებიც გვხვდება, ესენი მშობლის უფლებაჩამორთმეულთა შვილები არიან.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვები უღირს მშობლებს ჩამოართვეს და ახალ „დედას" მიანდეს აღსაზრდელად.

ბავშვებმა იციან, რომ ის მათი ნამდვილი დედა არაა. ბავშვებს არ უმალავენ მწარე სინამდვილეს და ვერც მოახერხებენ, რომ დაუმალონ, რადგან უფროსი ასაკის ბავშვებს ყველაფერი ისედაც ესმით, პატარებს კი, ცხადია, არაფერს უხსნიან. უბრალოდ, ახალი დედა ცდილობს ალერსითა და მზრუნველობით მოინადიროს ბავშვის გული, შეაყვაროს თავი, რათა რაც შეიძლება მალე წაიშალოს ბავშვის მეხსიერებაში წარსულის მძიმე სურათები.

იქნებ მკითხველმა უნებურად გაიფიქროს: განა არ შეიძლება ამ ბავშვების ბავშვთა სახლში დატოვება? რაში მდგომარეობს „ხელოვნური" ოჯახის შექმნის არსი? საჭირო კია ამგვარი „ბავშვთა სოფლები?"

და აქვე უნდა დავძინოთ: ჩვენი ჩეხოსლოვაკელი მეგობრების ცდები მთლად ახალი არ არის. სტრუქტურა, ცხადია, უფრო თავისებურია, მაგრამ მათი წარმოშობის მიზეზი ერთია — დაჩაგრული ბავშვების დაცვა.

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ არ შეიძლება ყველა ბავშვის ერთნაირ პირობებში აღზრდა. არიან ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი, ზედმიწევნით შთაბეჭდილებიანნი, სულიერად ტრავმირებულნი, მათ უჭირთ მრავალრიცხოვან, ხმაურიან კოლექტივში ცხოვრება. მათ გულს უმძიმებს იქაური ატმოსფერო, იტანჯებიან და ბეჩავდებიან.

ასეთ ბავშვებს უფრო ინტიმური, თბილი გარემოცვა სჭირდებათ, იმდაგვარი, როგორსაც გრძნობს ბავშვი კარგ, ჯანსაღ ოჯახში. ბავშვმა ოჯახური სიმყუდროვე უნდა იგრძნოს (დედა, ძმები, დები), მას თავისი თავის უნდა სწამდეს და არაფრის ეშინოდეს. ის უნდა მიეკედლოს თავის ერთადერთ, უახლოეს დედა-აღმზრდელს, რომელმაც მას დედა შეუცვალა.

აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი თვისებებით არის აღჭურვილი ის, ვისაც დაობლებულ ბავშვთა აღზრდას ანდობენ. შესძლებს კი კარგი ოჯახური ატმოსფეროს შექმნას?

დედის „თანამდებობაზე“ კანდიდატთა შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სპეციალური ექსპერტთა კომისია, მეცნიერული კვლევის ყველა ხელმისაწვდომი მეთოდით იკვლევდა, აანალიზებდა, ბჭობდა და აწონ-დაწონიდა იმ სამოცი პრეტენდენტის მონაცემებს, რომელთაც თანხმობა განაცხადეს „დედების“ კონკურსში მონაწილეობაზე. ყველაზე ახალგაზრდას მათ შორის, იმ ხანებში 28 წელი შეუსრულდა, ყველაზე უფროსი 42 წლისა იყო. ეს ასაკიც მისაღებია იმისათვის, რომ „დედამ“ მოასწროს თავისი ბავშვების წამოზრდა და ფეხზე დაყენება.

რას აკეთებს „მამიჩკა-აა“ (ასე ეძახიან ალერსით, განსაკუთრებული წამღერებით დედას ჩეხები) თავისი ბარტყებისათვის? იმასვე, რასაც ჩვეულებრივი მზრუნველი დედა: აჭმევს, ურეცხავს, უკერავს, ავადმყოფობის დროს ღამეებს უთევს, სიკეთეს უნერგავს. ცელქობისათვის ტუქსავს, საშინაო დავალებებს უმოწმებს, მშობელთა კრებებს ესწრება... განა ჩამოითვლება ის საზრუნავი, რასაც დედა უდრტვინველად თავზე იღებს ყოველ ოჯახში? ყველაფერს აკეთებს, რაც საჭიროა და კიდევ იმაზე მეტსაც. ჰოდა, მამიჩკაც ასე მოუღლელად ფუსფუსებს, სიყვარულით, პასუხისმგებლობის უდიდესი შეგრძნებით.

ცხადია, პატარების მოვლაში მას უფროსი ბავშვებიც ეხმარებიან, საერთოდ, ოჯახში ურთიერთდახმარების, შრომის განაწილების პრინციპი სუფევს.

სასურველია დედას ნათესაობაც ჰყავდეს — საკუთარი ძმები, დები, რომელთანაც ოჯახი კავშირს იქონიებდა, სტუმრად ეწვეოდა, თავისთან გადმოიპატიჟებდა. ეს კიდევ უფრო განამტკიცებდა ბავშვში იმის შეგრძნებას, რომ ის მრავალრიცხოვანი, შეხმატკბილებული ოჯახის წევრია.

ამ გულითადობის, აქტიური მეგობრობის ატმოსფეროში ნელ-ნელა ლხვება ბავშვის გული, რომელსაც სიხარულიც გადავიწყებია, და ნდობით მიილტვის ახალი დედის, ძმებისა და დებისაკენ.

დროდადრო დედა რჩევისათვის მიმართავს ბავშვთა სოფლის ხელმძღვანელს — დოქტორ მილოსლავ კოტეკს. მისი ავტორიტეტი დიდისთვისაც და პატარისთვისაც განუზომელია. მისი სიტყვა კანონია. მილოსლავ კოტეკი, განათლებით ფსიქოლოგი, ახალგაზრდა და მომხიბლავი კაცი, დაუღალავად იღწვის ბავშვებისათვის და მათ ერთგვარ მამობასაც უწევს.

ხელმძღვანელის გარდა, ბავშვთა სოფლის ადმინისტრაციაში კიდევ სამი ადამიანი ირიცხება: თანაშემწე, ბუღალტერი და დამლაგებელი.

დედა ყოველთვიურად იღებს ხელფასს და თითოეული ბავშვის შესანახ განსაზღვრულ თანხას. ამის გარდა, მას ერთდროული დახმარებაც ეძლევა, როგორც მრავალშვილიან დედას.

ოჯახური ბიუჯეტის ყველა მონაცემი დედას აკურატულად შეაქვს შემოსავალ-გასავლის წიგნში. მას, მართალია, სპეციალურად არავინ აკონტროლებს, მაგრამ, კეთილსინდისიერების დაუწერელი კანონით, ის ყოველ წუთს მზად უნდა იყოს ჩააბაროს დაწვრილებითი ანგარიში — რაში რა დახარჯა ბავშვებისთვის განკუთვნილი თანხიდან.

ამ მეტად ჰუმანური წამოწყების სათავეში დგას „ჩეხოსლოვაკიაში ბავშვთა სოფლების — სოს მეგობართა საზოგადოება“, პროფესორ, დოქტორ ირჟი დუნოვსკის თავმჯდომარეობით. დოქტორი დუნოვსკი ამ საქმის ინიციატორი, სულისჩამდგმელი და პროპაგანდისტი გახლავთ.

საზოგადოება აერთიანებს სპეციალისტ მეცნიერებს: ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებს, პედაგოგებს, პედიატრებს და იმ ენთუზიასტებს, ვისაც გული ერჩის ჩეხოსლოვაკი ბავშვებისათვის, თავისი ერის მომავლისათვის.

მთელი ორგანიზაცია ნებაყოფლობითია და ქველმოქმედებას ემყარება. ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, რესპუბლიკაში მოეწყო ლატარია ბავშვთა სოფლის სასარგებლოდ. ჩეხოსლოვაკიის მთელი მოსახლეობა გულმხურვალედ გამოეხმაურა საზოგადოების მოწოდებას. ქვეყნის ყველა კუთხიდან ბანკში — № 777 ანგარიშზე შემოდიოდა დიდი და მცირე თანხა. საწარმოებმა, ქარხნებმა, დაწესებულებებმა დაადგინეს, რომ ყოველთვიურად ხელფასიდან თითო კრონს შესწირავდნენ ბავშვთა სოფელს.

ყველაფერმა ამან საშუალება მისცა საზოგადოებას არა მარტო აეშენებინა, მოეწყო და შეენახა პირველი ბავშვთა სოფელი დოუბიში, არამედ მოეხაზა კიდევ სამი ასეთივე სოფლის პროექტი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. სადღეისოდ ბავშვთა სოფლის ანგარიშზე ბანკში დაახლოებით 50 მილიონი კრონი ირიცხება.

ბავშვთა სოფელზე შეფობა აქვს გამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს — ირენა სვობოდოვას. მან პირველი აგური მიიტანა ბავშვთა სოფლის მშენებლობაზე და ახლაც, თუ იქ რამე დასჭირდათ, შეძლებისდაგვარად ეხმარება.

„სოს სოფელი“ მხოლოდ ქველმოქმედება როდია! ეს არის მიტოვებულ ბავშვებზე ზრუნვის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც თითქოს ავსებს მიტოვებულ ბავშვთა აღზრდის მთელ სისტემას. ის სახელმწიფო ორგანოებთან უშუალო კონტაქტშია და მათ კონტროლს ექვემდებარება.

ჩვენ ეს სოფელი ვინახულეთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს — 1 ივნისს. დოუბიში სტუმრებს ელოდნენ — კარლოვი ვარის მოსწავლეებს. მწვანე მდელოებზე, ქათქათა კოტეჯებს შორის ბაირაღები ფრიალებდა, ისმოდა ბავშვების ხალისიანი ხმები, სიცილ-კისკისი. ერთი თვის გადაუღებელი წვიმების შემდეგ, იმ დღეს მზემ პირველად გამოანათა და უდიდესი სიხარული და სითბო გვაგრძნობინა ამ მშვენიერების, ამ სიკეთის დანახვისას. დოქტორ კოტეკმა მოყვარულთა მიერ გადაღებული ფილმი გვიჩვენა, სადაც აღბეჭდილი იყო ბავშვთა პირველი სოფლის ახლო ისტორია, მისი შენებისა და ცხოვრების ცალკეული მომენტები, გვისახსოვრა ფოტოსურათები, ბროშურები, პროსპექტები.

დაბოლოს, ჩვენ ერთ-ერთ ოჯახში ფინჯან ყავაზე მიგვიწვიეს. ოჯახის დიასახლისი — მარია, ალერსიანი, ოდნავ დამორცხვებული, გულითადად შემოგვხვდა, როგორც ჩეხოსლოვაკ ქალებს ჩვევიათ, როცა ისინი ნაკლებად ნაცნობ სტუმრებს ხვდებიან. მარიამ სუფრასთან მიგვიპატიჟა, თავისი ნახელავი ტორტით გაგვიმასპინძლდა, რამდენიმე რუსული სიტყვა გვითხრა, ჩვენც რამდენიმე იქვე ნასწავლი ჩეხური ვუთხარით. მეტწილად ჟესტებით, ღიმილითა და მიმიკით ვამბობდით სათქმელს, მაგრამ, მშვენივრად გვესმოდა ერთმანეთის, რადგან საუბარი ყველასთვის მახლობელ თემას — ბავშვებს შეეხებოდა. აქვე ხალიჩაზე ჩამომჯდარიყო სამიოდე წლის ბიჭუნა და ჩაფიქრებული აგებდა რაღაცას ფერადი კუბურებისაგან.

როგორც საუბრიდან გამოირკვა, მარია გათხოვილი არასოდეს არ ყოფილა, ბავშვები კი ძალიან უყვარს და ამიტომ ასეთი ხალისით მიიღო ეს წინადადება. როგორ უჭირდა თავდაპირველად! ბავშვები, უმთავრესად კი დიდები, გაურბოდნენ, ალერსს ურჩობდნენ. მარია საშინლად იღლებოდა, ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდეც მიდიოდა, ღამ-ღამობით ტიროდა, იქნებ, ამისათვის ხელი არ უნდა მომეკიდა, ალბათ, გადავაფასე ჩემი შესაძლებლობებიო. მაგრამ, შემდეგ თანდათანობით ყველაფერი გამოსწორდა და ახლა ძალიან კმაყოფილია, ის კი არა — ბედნიერიც!

მარია ყვებოდა და სასაცილოდ ურევდა ჩეხურ და რუსულ სიტყვებს, იცინოდა და ტიროდა.

როცა მის ხმაში ცრემლი გაისმა, ბავშვმა თავი ასწია და ეჭვით შემოგვხედა, ხვნეშით წამოდგა, ბაჯბაჯით მიუახლოვდა მარიას და მუხლებზე ააფორთხდა.

— მამიჩკა — აა! ...— ტიტინებდა ის და ეხუტებოდა. მარიამ აიტაცა, მიიხუტა, გაიცინა, ხელში ტორტის ნაჭერი მისცა და ორივეს — დედასაც და შვილსაც სიხარულით უციმციმებდათ თვალები.

**თამარ წულუკიძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი,

**თამარ მესხი,**
ექიმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სოფელი ელის ექიმს

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ფრიად საყურადღებო ციფრი დაგვისახელეს: საქართველოში ყოველ 10.000 მცხოვრებზე 33 ექიმი მოდის. ჩვენს პლანეტაზე არ არის მეორე ქვეყანა, სადაც ასე დიდი რაოდენობით ჰყავდეთ ექიმები, მაგრამ მკითხველი გაოცდება, როცა ვეტყვით, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით გვაკლია ექიმები, განსაკუთრებით სოფლად, რომ ამ საამაყო ციფრის იქით საექიმო კადრების განაწილების ბევრი უხერხულობა და მოუგვარებელი საქმე იმალება.

ამჟამად რესპუბლიკაში 16.033 ექიმი გვყავს, აქედან 14.549 კაცი ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება, სოფლისას — კი 1.484 ექიმი, ესე იგი, ქალაქად მუშაობს ათჯერ უფრო მეტი ექიმი, ვიდრე სოფლად, თუმცა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ქალაქებშია თავმოყრილი მსხვილი, რაიონული თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის საავადმყოფოები, სამედიცინო პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, დისპანსერები, კლინიკები, რომელთაც დიდი რაოდენობით ესაჭიროებათ საექიმო კადრები. სოფლის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილიც კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას (გამოკვლევის, ოპერაციისა თუ მკურნალობის სახით) ამ სამკურნალო დაწესებულებებში იღებს. ამიტომ, ბუნებრივია ქალაქად ექიმთა უმეტესობის მუშაობა, მაგრამ არა ისეთი პროპორციით, როგორიც ზემოთაა მოყვანილი.

ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გულგრილად შეჰყურებდეს ამ ფაქტს. ყოველწლიურად 130-160 ახალგაზრდა ექიმს ეძლევა სოფლის საგზური, რამაც მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორა. მაგრამ 47 სოფლის სამკურნალო ამბულატორიასა და 6 საუბნო საავადმყოფოს ჯერ კიდევ არა ჰყავს ექიმი, საერთოდ კი სოფელს აკლია 314 ექიმი.

ბოლო წლებში, როგორც აღვნიშნეთ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მრავალი ღონისძიება გაატარა სოფლის სამედიცინო დაწესებულებათა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის, მაგრამ, ეტყობა, ამ საქმეს მარტო სამინისტრო ვერ გასწვდება, თუ არ გაუმჯობესდა საერთოდ ექიმთა მომზადების, მათი განაწილებისა და ადგილზე მომსახურების ბევრი საკითხი.

ჩვენს რესპუბლიკას ექიმთა კადრებს ძირითადად თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი აწვდის. ყოველწლიურად ამ ინსტიტუტს 500-800 ახალგაზრდა ამთავრებს. მაგრამ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, სოფლად მხოლოდ მათი მცირე ნაწილის გაგზავნა ხერხდება. კურსდამთავრებული ვაჟების ნაწილი სამხედრო სამსახურში და შინაგან საქმეთა ორგანოებში მიდის სამუშაოდ, ქალებისა კი, რომელნიც მთლიანი კონტიგენტის 60 პროცენტს მაინც შეადგენენ, თხოვდება და ამით იძენენ იურიდიულ უფლებას უარი თქვან სოფლად სამუშაოდ წასვლაზე. იქნებ საჭიროა დავფიქრდეთ სამედიცინო ინსტიტუტში მისაღები კონტიგენტის შერჩევაზე სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით?

ახალგაზრდა ექიმების სოფლად სამუშაოდ წასვლას ისიც უშლის ხელს, რომ სტუდენტებს არ უნერგავენ თავისი პროფესიის სიყვარულს. პროფესიის სიყვარული კი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როცა სიკეთის ცვარს მოაპკურებ იქ, სადაც ყველაზე მეტად არის საჭირო. ახალგაზრდა მკურნალმა, თუკი მას ჭეშმარიტად უყვარს თავისი სამშობლო და მოწოდებულია ამ კეთილშობილი პროფესიისათვის, ნამდვილად უნდა ირჩიოს სოფლის ექიმის მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი.

სწორედ ასეთი ექიმები არიან სიღნაღის რაიონის ტიბაანის სასოფლო ამბულატორიის სტომატოლოგი იზა კაციტაძე, თეთრი წყაროს რაიონის ბორბალოს სასოფლო ამბულატორიის გამგე ლიანა ვაშაყმაძე, ადიგენის რაიონის ვახანის სასოფლო ამბულატორიის ექიმი ნოდარ ობოლაშვილი, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის სასოფლო ამბულატორიის გამგე ოლღა გესლაიძე და მისი და — მაღრაანის სასოფლო ამბულატორიის გამგე ანა გესლაიძე. ამ ახალგაზრდებმა რამდენიმე წლის წინ დაამთავრეს სამედიცინო ინსტიტუტი და მაშინვე დადგნენ სოფლის მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

სოფლად ექიმების მიზიდვას და მუშაობას ხელშემშლელი მიზეზებიც აქვს. კანონით სოფლის ექიმს უფასოდ უნდა გაეწიოს ყველა სახის კომუნალური მომსახურება. ზოგიერთი სოფლის ხელმძღვანელს კი ექიმისათვის ხან შეშის მოტანა „ავიწყდება“, ხანაც ელექტროენერგიითა და გაზით მომარაგება და ა. შ.

ექიმი რომ სოფლად დამკვიდრდეს, სახელმწიფომ ამაზე იზრუნა: აძლევს გრძელვადიან სესხს საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად. ახალციხის, კასპისა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში მოუგვარებელია საშენი მასალებით ექიმთა მომარაგების საქმე. ექიმი იძულებულია ან შემთხვევითი პირისაგან ძვირად იყიდოს საშენი მასალა, ანდა საერთოდ აიღოს ხელი ბინის მშენებლობაზე. ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ კასპის რაიონში ექიმები აკლიათ. ამასთან საერთოდ სამედიცინო პერსონალის რიცხვით რაიონი თითქმის ორნახევარჯერ ჩამორჩება რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელს. აქ ყოველ 10.000 კაცზე 18,8 ექიმი მოდის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კადრების განყოფილების გამგემ გ. ვაჩნაძემ ჩვენთან საუბარში პირდაპირ განაცხადა: სოფლად ექიმების გაგზავნის საქმეში სამინისტროს სერიოზულად უშლიან ხელს „ბიძები“ და „დეიდები“, ტელეფონითა თუ პირადი ვიზიტებით ისინი ცდილობენ „განსაცდელისაგან“ იხსნან თავიანთი შვილი, ძმისწული და დისწული. მკითხველს კურიოზად შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ სოფელში სამუშაოდ წასვლისაგან თავის დაძვრენას ცდილობენ ის ახალგაზრდებიც კი, რომლებიც რაიონიდან ჩამოვიდნენ სპეციალური ლიმიტით, რითაც მათ უპირატესობა მიეცათ მისაღები გამოცდების ჩაბარების დროს. მესტიის რაიონის სოფელ კალას სასოფლო საავადმყოფოში დღემდე ელიან თენგიზ კვიციანს, რომელიც თავის დროზე ლიმიტით ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტში, მას სრულიად არ ადარდებს თანასოფლელთა იმედის გაცრუება, რომლებიც მოუთმენლად ელიან მკურნალის მადლიან ხელს. თენგიზს „მხარში ამოუდგა“ ახალგაზრდა ექიმი გ. თევზაძეც, რომელიც სამუშაოდ კასპიისპირეთში, ზამთრის საძოვრებზე მყოფი მწყემსების მომსახურებისათვის იყო განაწილებული. ამაოა მწყემსების მოლოდინი. გ. თევზაძე ათასნაირ ხრიკს მიმართავს, რომ თავი დააღწიოს კასპიისპირეთში წასვლას. ურიგო არ იქნებოდა გ. თევზაძეს და მის „ხელის შემწყობებს“ გაეხსენებინათ ახალგაზრდა ექიმი გიორგი მიდელაშვილი, იგი ინსტიტუტის განაწილებით ჩავიდა კასპიისპირეთში და დღეს ყველასათვის საყვარელი მკურნალი და მეგობარია.

ამ ბოლო წლებში გაცილებით მეტი ექიმები იგზავნება სოფლად, მაგრამ, ეს ტემპი საკმარისი არ არის, რესპუბლიკის ათობით სოფელი კვლავ ელის ექიმს.

ვლადიმერ ბოგოლაშვილი



ქ. მარქსის სახ. სა[illegible]
სა[illegible] ომწ[illegible]

# მოგზაურობა სილამაზის საუნჯეში

იქ, სადაც ახლა ჩვენ ვართ, ქვის სიმღერა ხმიანებს, ხმადაბლა, მოგუდულად. ხმადაბლა იმიტომ, რომ ჭერი აწვება, თუმცა ჭერი მაღალია. ეს ქვები, სვეტები, სვეტისთავები, ფილები კი გაშლილ მინდვრებზე იყვნენ დაჩვეულნი. ხანდახან მაღლობიდან ყინჩად მზირალნი, ამაყნიც, მქუხარენიც, მოჩურჩულენიც... ხორცი ხორცთაგანნი, — ქართველი კაცის მარჯვენით სულჩადგმულნი.

ახლაც მღერიან ამ დარბაზებში, მღერიან იმათთვის, ვისაც სიყვარულს შეამჩნევენ, ვინც რუდუნებით დაიხრება მათკენ.

ეს ყოველივე საუკუნეების წინათ სიყვარულმა შექმნა, — სამშობლოს შენების, დამშვენების და გალაღების სიყვარულმა. აი, ბოლნისის სვეტისთავები ბოლნისის ტაძრიდან — განტოტილი ხეთ, ჯიხვითა და ლომით (მე-5 საუკუნე), აი, კანკელის სვეტის საყრდენი შიომღვიმიდან, მცხეთის ჯვრიდან... ოშკი, იშხანი, ოპიზა, ტბეთი, თვით სახელებიც ამაღლებულნი, ვით მაღლა მდგომი მათი ნაგებობანი. აი, ოპიზასეული აშოტ კუროპალატი (მე-9 ს), ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი ტაძრის მოდელით (მე-10 ს), აი, თვალწარმტაცი ფილები ფოთოლეთის კანკელიდან (მე-8 ს) — ფოთლის ხვეულები დატანებული ჯვრით, რა მაქმანისებური სიმსუბუქე, რა სიმეტრია!

ფილები, ფილები, — ზოგნი დედანი, ზოგნი — პირები. იქნებ, კიდევ ერთხელ შევჩერდეთ წებელდის ქვის ფილებთან? აქ ხომ უცნობ ქართველ მხატვარს ქვაში გულმოდგინედ გაუცოცხლებია მთელი სცენები სახარების თემებიდან: მამლის ყივილი, პეტრეს სინანული, პილატე ხელს იბანს. ჯვარცმა... ერთხანს კიდევ დავდგეთ ბაგრატის ტაძრის სვეტისთავებთან (მე-11 ს), მართალია, ეს მხოლოდ გადმოღებული პირია, — მაგრამ ეს ასლიც ხომ იმ დიდებისეულია, არქიელის გორიდან რომ გადმოჰყურებს მთელს საქართველოს და მღერის, მღერის ქვა თავისებურად, ქვისნაირად, გაუტეხელად. მას ახსოვს აღზევება, ახსოვს ქართული ჰიმნებით აჟღერებული მაღალი გუმბათი, თაღები. ახსოვს ცეცხლიც, რუჯვაც, ნგრევაც. და ვით ნათლისსვეტი — ჩამოდის შუქი ამ მაღალი ჭერიდან, შუქი-იმედი მათთვის — იმედი აღდგენისა, იმედი ახლის შენებისა, ძველის წამოყენებისა და განახლებისა.

და ნელიად, ჰაეროვანი ხმოვანებით ესიტყვება იქაურობას ქართული ფრესკა ატენიდან, ყინწვისიდან, გელათიდან (მართალია, ყოველი მათგანი მხოლოდ ასლია, მაგრამ ასლი გადმოღებულია შესანიშნავად) და თუმცა, ჩვენთვის ბავშვობიდანვე თანშეზრდილა ქება ყინწვისის ანგელოსისა, მაინც გაოცებულნი ვჩერდებით მის წინ. იგი, საერთოდ დეტალია მე-13 საუკუნის დასაწყისის ერთი დიდებული ფრესკისა („მაცხოვრის აღდგომა"), მაგრამ, ეს ანგელოსი ჩვენმა მეხსიერებამ ამ სცენიდან გამოაცალკევა. სევდიანი, ქართული ბუდეშურა თვალებით, მქრქალ ცისფერ ფონზე. და ასე, — კედლებიდან გადმოგვყურებენ ჩვენი, ჩვენეული სერობები, ხარებები, შობანი, ნათლისღებანი — ჩვენი შიოების, ჩვენი გიორგების, ჩვენი ქიტესების მოხატულნი. პროტოტიპებიც თავად იყვნენ — მზით გარუჯულნი, პირქუშნი, ოდნავ სევდიანნი — მამულის ბედის მოზიარენი.

და დარბაზის თავში, ვით ადგილისდედა, — ჩვენი სიამაყე, ჩვენი ქართული მოზაიკა (მე-12 საუკუნე) — გელათის ღვთისმშობელი. ამ მოზაიკას თავისი უდიდესი და უძველესი წინაპრები ჰყავს საქართველოში, თუნდაც აქვე გამოფენილი ბიჭვინთისა (მე-5 ს) და წრომის მოზაიკები (მე-7 ს), მაგრამ, გელათის მოზაიკის გრანდიოზულობა, თავისთავადობა, ღვთისმშობლის სახე, „სავსე ქართული პატიოსნებით", დიდხანს ტყვედ ქმნის დამთვალიერებელს. ვისაც თავად გელათში უნახავს იგი, არასოდეს არ გამოვა ამ ტყვეობიდან.

აქ კი... თუმცა ჩვენ ჯერ არც გვითქვამს, სად ვმოგზაურობთ, — საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

და, აი, ჩვენ ჩავუარეთ დარბაზებს, სადაც გამოფენილია დღესდღეობით თითქმის მიძინებული ხელოვნების — ხის მოჩუქურთმების ნიმუშები: სავარძლები, სკამძელები, კარიბჭენი, მათგან უძველესი მე-5 საუკუნით თარიღდება და გვახსენდება — რომ აგერ, გუშინ, ჩვენს ოდა-სახლებს რარიგ ამშვენებდნენ მოჩუქურთმებული ხის აივნები, რარიგ მოხატული, ხარატული იყო ჩვენი აკვნები („ეს აკვანი ხარატული")... მერე ჩვენ დავივიწყეთ ეს ტრადიცია, გვირჩევნია განიერი ქვის ვერანდები, რკინის ხლართები, გისოსები... ცხოვრებას თავისი ტემპი აქვს. და, როცა აქა-იქ სამხატვრო გამოფენებსა და სალონებში თვალში შემოგვანათებს ხოლმე ხის ჩუქურთმები — ამ თვალებში არდავიწყების ვედრებაა თითქოს...

ჩვენ კი კვლავ მივყვებით განიერ კიბეს, ვჩერდებით პატარა ბაქანთან და, ირგვლივ ჩამოხსნილი კარებებიდან ქართული ფერწერის უხვი გამა იღვრება. რომელ ერთ ზღურბლს გადააბიჯო, რომლის წინ შედგე? იქნებ თანმიმდევრობით ჯობდეს:

მე-18 საუკუნის ქართული პორტრეტი. აქ, ამ პორტრეტებში: ბატონიშვილთა, მიტროპოლიტთა, ფეოდალთა და სხვათა და სხვათა, — ვლინდება ბრწყინვალე იერი ქართული რეალისტური პორტრეტისა. ჩვენ აქ მოვიშველიებთ საკმაოდ ნაცრობ ფრაზას, მაგრამ უმისოდ ფონს ვერ გავალთ — მსგავსება პორტრეტისა და წარმოჩინება ხასიათისა, შინაგანი მეობისა, ერთად თანმთხვეულან. თორემ, აბა ისე რა იქნებოდა პორტრეტი თუნდაც ერეკლე მეფის ელჩისა — გარსევან ჭავჭავაძისა, დარეჯან დედოფლისა? — მისი მსუყე სიდარბაისლისა და დედოფლურად ზვიადი სახისა. აი, თეკლე ბატონიშვილი, მარად კისკასი, რჩეული ქალიშვილი ერეკლე II-ისა, ახტაჯანა, ქალა-ბიჭა. მაგრამ, აქ მოლოდინი არ გვიმართლდება: ამ პორტრეტში თეკლა უკვე ხნიერია, დედისეული, გადასურმული წარბებით, თავხურვით, მშობლიური სახით, თვალებში სევდაჩამდგარი. მიტროპოლიტი იოანე ბოდბელი, მკაცრი ნებისმფლობელი, სოლომონ მეორე, თითქოს გაკვირვებული, ბატონიშვილი ალექსანდრე... ანდა მეუღლე გარსევან ჭავჭავაძისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა, — შეჭირვებულად გალიმებული, წარბშეყრილი.

და თავად ერეკლე, ჩვენი მუხლჩაუდგმელი სარდალი. უცნობია ამ ქართველ მხატვართა გვარი. მაგრამ ხელი მათი ძარღვიანია, ფერი ღონიერი, თვალი გამჭრიახი — ესაა სახელი მათი.

მე-19 საუკუნის დასაწყისსაც არ უღალატია პორტრეტისათვის (გავიხსენოთ გლეხის ოჯახიდან გამოსული მხატვრის — გიორგი მაისურაძის მიერ შექმნილი პორტრეტების მთელი გალერეა): მთელი სიმაღლით შემოგვყურებს ნინო ქსნის ერისთავის ასული (1829 წ.), აქ უკვე პოზაა ნაწილობრივი. სამოსელი თითქოს საგანგებოდ შერჩეული, ირანული, საგანგებო ქუდი. მე-19 საუკუნის პორტრეტში უკვე იჭრება ყოფა, პორტრეტთა მთელი კალერეაა ნიკოლოზ ედიშერის ძის მუხრანბატონის საოჯახო სურათში. სამწუხაროდ, მხატვარი უცნობია, მხატვარი, რომელმაც ერთი საოჯახო სურათით მიგვანიშნა იმ სოციალურ ძვრებზე, რაც ჩვენს ქვეყანას მე-19 საუკუნემ მოუტანა: ყურთმაჯიან კაბაში გამოწყობილ, მამაპაპურად, დარბაისლურად გამომზირალ თავმომწონე სახეების ნაცვლად, — სამხედრო ფორმაში გამოწკეპილი, აქსელბანტებით მხარდამშვენებული პეწენიკა დიდგვაროვნები შემოგვცქერიან. ქალ-რძალს ჯერ კიდევ ქართული სამოსელი აქვთ შერჩენილი, მაგრამ პატარები უკვე ევროპულად ყავთ მორთული. გოგონას ფუშფუშა კაბის ქვეშ არშიამოვლებული პანტალონები მოუჩანს. ოღონდ თავად მუხრანბატონი, რომელიც ცენტრშია მეუღლესთან ერთად, კვლავ ქართული კაბით, ქამარზე ხელდაყრდნობილი დგას, როგორც ტრადიცია, კერის უფროსი და წინამძღოლი.

შემდეგ დარბაზებშიც შევიაროთ. აგერ მე-20 საუკუნე ა. ბერიძის სალამურზე დამკვრელი ბიჭუნათი რომ გვეგებება, ი. გუგუნავას ჩონგურზე მომღერალი მშვენიერი გურული ქალწულით რომ გვხიბლავს.

განა არ გეცნოთ ეს სურათები? — ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი გლეხკაცის გასაჭირის ღაღადი — „დაბალი ღობე“, „კალოზე“, „კანცელარიის წინ“. დიახ, აქ ჩვენ ალექსანდრე მრევლიშვილის შემოქმედებას ვეცნობით ორიგინალში. აქვეა წარმოდგენილი მდიდარი კოლექცია გიგო გაბაშვილის ნახატებისა. მისი ცნობილი „სამი მოქალაქე“, „ხევსურების დღეობაზე“, „ბოსტანში“... მსუყე ფერები, ჭარბად სისხლსავსე რეალიზმი. და მოსე თოიძე. ჩვენთან შეზრდილი მისი სახელი. მოდით, მისი ნამუშევრებიდან ორი კონტრასტი დავაპირისპიროთ: მისი „მოსარეცხე“ და „ახალი ზიზია“. მოსარეცხის ბნელი ოთახი, თითქოს ორთქლის ოხშივარი გვცემს, თავად მოსარეცხე დაძარღვული მაჯებით. რა მძიმეა ცხოვრება, ბრძოლა არსებობისათვის. მაგრამ, იმავე თოიძის „ახალი ზიზია“ ხომ სინათლით გვავსებს. ესაა ბაღში ჩამდგარი, ფოთოლსა და ფოთოლს შორის აჭიატებული სხივი და პატარა მოლზე დედა-შვილი, ...რა მსუბუქი სითბოა ჩაღვრილი ამ სურათში.

მაგრამ, უკვე ვგრძნობთ, რომ დავიღალეთ. თუმცა ეს სიტყვა არ არის სწორი. კი არ „დავიღალეთ“ — ავივსეთ: ავავსეთ თვალი, გული. წინ კი კვლავ მოგველის ნაქილი, გრძელი ოთახები, — სავსენი ჩვენი სიმდიდრით, ჩვენი ფერების ზეიმით. თუნდაც სრულიად ახალგაზრდა, ნაადრევად წასული მხატვარი შალვა ქიქოძე, მისი თავისებური მანერა, ლირიზმი, დრამატიზმი, მისი „გურულები დღეობაში“, თითქოს თავანკარა კრიმანჭულით მოხატული, ახმიანებული, გალაღებული. დაუვიწყარი დავით კაკაბაძე, ჩვენი საამაყო ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, უჩა ჯაფარიძე, და ბევრი და მრავალი სახელი ჩვენი ერის სასიქადულოდ შთაგონებულნი.

განა ერთი დღე გვეყოფა, რომ ერთად შევიგრძნოთ სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის აქ გამომზეურებული სურათები?

განა ერთი დღე გვეყოფა, რომ ლეგენდად, პოეზიად, არდავიწყებად ქცეული ფიროსმანის სურათები დავათვალიეროთ? დავდგეთ მათ წინ და დახარბებული თვალებით ვიკითხოთ ნახატის კუთხეში მისგანვე მიწერილი „ნიკალა“?

განა ერთი დღე გვეყოფა? ერთი თვე?

არა, მაინც რამდენი დღე უნდა გვეყოს იმისათვის, რომ საკუთარ არსებას შევუერწყოთ სიამაყე ჩვენი ერის არსობისა — ჩვენი საგანძური — ჩვენი ოქრომჭედლობა, რომელიც აქ, ამ მუზეუმშია დაცული. ფასი მისი აუწონელია, რადგან შეუფასებელია ის ხელოვნება, რითაც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა იგი. არა ოქრო და თვალმარგალიტი დებს ფასს, არამედ ხელოვნებით შთაგონებული ხელი ოპიზრებისა და მათია ძმათა.

ჩვენ კვლავ და კვლავ მოვალთ აქ, მოვალთ, სანამ ვცოცხლობთ, რათა უკვდავებას ვეზიაროთ.

დღეს კი... ცოტახნით გადავდოთ ჩვენი დაუსწრებელი მოგზაურობა ქართული სილამაზის სასახლეში.

**ნაზი კილასონია**



დეტალი ყინწვისის ტაძრის მოხატულობიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორდენოსანი პიონერი

ომის წლებში ასმათ ბაუჟაძე ახლადშექმნილი პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარე იყო. ერთ დღეს მან ტოლები ჩაის საკრეფად წაიყვანა. მასწავლებელი მეხფულე გიორგაძე თბილად შეხვდა ბავშვებს და ასმათი მხარში ამოიყენა.

მას შემდეგ ასე ერთად, მხარდამხარ მიჰყვებოდნენ ჩაის ბუჩქებს მასწავლებელი და მოწაფე. რა ვუყოთ, თუ პირველად ნელა ივსებოდა ასმათის კალათა, სამაგიეროდ სკოლაში იგი წარჩინებული მოსწავლე იყო.

მეშვიდე კლასში რომ გადავიდა, ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია მისცეს მოსავლელად. გათოხნა, სასუქი შეიტანა, ჩინებულად მოუარა. ბუჩქებიც ქორფა დუყებით აივსო. კრეფდა ასმათი ფოთლებს დილაადრიან, კრეფდა მაშინაც, როცა მზე დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა, კრეფდა ყოველგვარ ამინდში — ქარსა თუ წვიმაში.

ერთ წელს ასმათმა 6.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს ის წელიწადი იყო, როცა ომი დამთავრდა და სოფელში გამარჯვებული ჯარისკაცები დაბრუნდნენ. ომგადახდილ, ორდენებით მკერდდამშვენებულ მებრძოლებს ასმათიც გამარჯვებული შეეგება. მამაცური შრომისათვის იგი ლენინის ორდენით დააჯილდოეს.

ლენინის ორდენით პიონერის დაჯილდოება მაშინ პირველი შემთხვევა იყო პიონერთა ორგანიზაციის ისტორიაში. გავიდა დრო. ეს სასიხარულო ფაქტი მივიწყებულ იქნა, ალბათ, ასმათის თავმდაბლობის გამო. მხოლოდ შარშან, პიონერთა ორგანიზაციის სახელოვანი 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში, ქობულეთელმა წითელკვალმაძიებლებმა გახადეს ცნობილი ზენითელი პიონერის გმირობა.

ასმათის მშობლიური სოფელი ზენითი მთებში მდებარეობს. იყო დრო, როცა სოფელში ორმა-სამმა კაცმა თუ იცოდა წერა-კითხვა, არც სკოლა იყო და არც სავაჭრო წერტი, და, რაც მთავარია, — არც გზა. ათეულ კილომეტრზე ზურგით ეზიდებოდნენ მარილსა და ნავთს.

ახლა სოფელს ამშვენებს კლუბი, სკოლა, სავაჭრო ცენტრი. სოფლის ასეთი კეთილმოწყობისათვის ბევრი რამ გააკეთა სასოფლო საბჭოს დეპუტატმა ასმათ ბაუჟაძემ.

ასმათ ბაუჟაძე ახლა სოფლის სკოლის დირექტორია.

ალისფერყელსახვევიანი გოგო-ბიჭები უფროსებს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში ეხმარებიან. შარშან 19 მაისს, საიუბილეო შეკრებაზე, მათ 30 ტონა ჩაის მოკრეფა ივალდებულეს და ვალდებულებას 5 ტონით გადააჭარბეს.

**გ. ბახტაძე**

# გახსენება

(სამი ჩანახატი)



ისინი, რომელთა შესახებაც უნდა გიამბოთ, ფრონტზე არ ყოფილან, იარაღთან ჩახუტებულებს არ სძინებიათ, მაგრამ დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდნენ შემართებით, ზურგში სჭედდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას.

ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე თამარ ჯიქიძე მშობლიურით ევლებოდა თავს პატარა ალსაზრდელებს, აიმედებდა, გამარჯვების რწმენას უნერგავდა, უამბობდა ომის გმირებზე... მაგრამ ეს როდი იყო საკმარისი. ბუნების ნორჩმა მოყვარულებმა გადაწყვიტეს ჰოსპიტლებისა და აფთიაქებისათვის შეეგროვებინათ სამკურნალო მცენარეები და ამით პრაქტიკულად დახმარებოდნენ სამშობლოს.

ასე შეიქმნა ნორჩ ნატურალისტთა მოძრავი ბანაკი, რომლის წევრებმაც დალაშქრეს რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილები. ბაკურიანში შეაგროვეს ოთხ ტონამდე საგუგას ძირები, რომელთაც ომის დროს ახალი პრეპარატის, საენეციო პლატოფილინის დასამზადებლად იყენებდნენ.

ნორჩმა ნატურალისტებმა სხვა დავალებაც შეასრულეს — საგარეჯოს მიდამოებში დიდი რაოდენობით შეაგროვეს შროშანის ფოთლები, საგურამოში — კატაბალახას ანუ ვალერიანის ძირები, გაგრის მიდამოებში — გლობუსისა და ლიმინალის სახეობის ევკალიპტის ფოთლები, გომბორის მიდამოებში — ასკილის ნაყოფი.

მოსწავლეები დაუკავშირდნენ აფთიაქის მუშაკებს, თვითონ შეისწავლეს ზოგიერთი წამლის დამზადება. მაგალითად, თავიანთ შეგროვებული კატაბალახით ამზადებდნენ ვალერიანის წვეთებს და გადასცემდნენ სამხედრო ჰოსპიტლებს.

არაერთხელ მოსულან სასახლეში დაჭრილი მეომრები, რათა პიონერებისათვის მადლობა ეთქვათ. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე ნორჩ ნატურალისტებს: დათო მოლაშვილს, გივი მეავანაძეს, ამირან ქორიძეს, სარგის ცაიშვილსა და სხვებს გადაეცათ საკავშირო კომკავშირისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების სიგელები, მათი ხელმძღვანელი თამარ ჯიქიძე კი მთავრობამ დააჯილდოვა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

* * *

უჭირდა სოფელს.

ვაჟკაცებმა ფრონტს მიაშურეს. საკოლმეურნეო მინდვრები კი თავისას ითხოვდა.

როგორც კი საზაფხულო არდადეგები დადგებოდა, სტუდენტთა ბრიგადები რაიონებს მიაშურებდნენ, რათა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში დახმარებოდნენ კოლმეურნეებს. ხუთჯერ გატარა სოფლად არდადეგები სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ნატა საძაგლიშვილმა.

„გათენებიდან დაღამებამდე მინდორში ვართ. გოგოები ბიჭებს არ ჩამოუვარდებით მუშაობაში, ვთოხნით კიდეც, კრეფავთ კიდეც... შეწამვლაც ვისწავლეთ. კოლმეურნეებმა აგიტატორად ამირჩიეს. ორ დღეში ერთხელ მცხეთაში ჩავდივარ ფეხით ახალი გაზეთების ამოსატანად. საღამოს ყველანი ერთად ვიკრიბებით, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს ვუკითხავ აქაურებს და სტუდენტებს“.

ასე სწერდა დედას პირველკურსელი ნატა საძაგლიშვილი მცხეთის რაიონის სოფელ კრედიდან.

მეორე წელს სტუდენტთა ბრიგადის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

აში გაემგზავრა სამუშაოდ. ახლა ნასაკირალიდან მიიღო დედამ წერილი:

„პირველ ხანებში მხოლოდ სამ-ოთხ კილოგრამ ჩაის ვკრეფდი დღეში. მრცხვენოდა, ნუთუ ამისათვის ჩამოვედი ამ სიშორეზე? ყველას ვთხოვდი, სწრაფი კრეფა ესწავლებინა. მართლაც, მალე ტემპს ვუმატე და ახლა ათ-თორმეტ კილოგრამამდე მწვანე ოქროს ვკრეფ... სადილს მორიგეობით ვამზადებთ. დღეს სწორედ მე ვარ მორიგე. ახლა თუ ხელის დასაბანი წყალი არ მოვუმზადე გოგოებს, ამიკლებენ".

კიდევ ორჯერ გაატარა ნატამ არდადეგები გურიაში. მერე კი ინსტიტუტი დაამთავრა და ბათუმში მიავლინეს სამუშაოდ. მას შემდეგ სულ რაიონშია. საბოლოოდ თელავში დაფუძნდა, დაოჯახდა და სამ შვილს ზრდის.

* * *

მსახიობთა საშეფო-საკონცერტო ბრიგადები მთელი ომის მანძილზე მართავდნენ კონცერტებს ევაკოჰოსპიტლებსა და სამხედრო ნაწილებში. დაჭრილ მეომრებთან მიჰქონდათ სიხალისე, გამოჯანმრთელების რწმენა...

მაგრამ მარტო კონცერტებით არ ამოიწურებოდა მსახიობთა საშეფო საქმიანობა. დაჭრილებისათვის მიჰქონდათ საჩუქრები: წიგნები, ტანსაცმელი, პროდუქტები. მსახიობი ქალები უვლიდნენ დაჭრილებს. ტანსაცმელს უკერებდნენ, უუთოებდნენ, დერეფნებსა და პალატებს ასუფთავებდნენ.

თეატრალურ მუზეუმში ინახება მასალები მათ საშეფო მუშაობაზე.

არის პირადი მოგონებებიც.

აი, რას იგონებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, აწ განსვენებული ცეცილია წუწუნავა:

„კონცერტებს ვმართავდით პალატებში, დერეფნებში, ეზოებში, სადაც მოგვიხერხებოდა. ერთხელ ევაკოჰოსპიტალში გამოვდიოდით მე და ბაბო გამრეკელი, ვთამაშობდით სკეტჩს „ზოგიერთი ქალი". იგი ჰკიცხავდა იმ მანდილოსნებს, რომელთაც ომის დროს პრანჭვა-გრეხისა და გართობისათვის ეცალათ. შექმნილ მდგომარეობას კი არას დაგიდევდნენ.

მეომრებმა ბევრი იცინეს. განსაკუთრებით გულიანად კისკისებდა ერთი პატარა ბიჭუნა. ჩვენ დაგვაინტერესა, თუ ვინ იყო, ან რატომ იმყოფებოდა ჰოსპიტალში ეს თორმეტი წლის ბიჭი. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ქალაქის დაბომბვისას ყუმბარას მისთვის ორივე ფეხი წაეწყვიტა...

სიმწრისაგან ლამის ავტირდით. პირველად ჩემს სიცოცხლეში სრული უსუსურობა ვიგრძენი როგორც მსახიობმა და მომდევნო გამოსვლაზე უარი ვთქვი...

„თქვენ კარგი დეიდა ხართ! — მომაძახა უცნობმა ბიჭუნამ. როცა მივდიოდით, — კიდევ მოდით ჩვენთან!"

უ. ზარეკიძე

# კაპიტალის საუფლოში

## „ააშენეთ საცხოვრებელი სახლები და არა ეკლესიები!"

რომის გარეუბანში ორმოცდაათი ათასი კაცი ქოხმახებში ცხოვრობს; აქ, არც წყალია, არც შუქი, არის მხოლოდ აუარებელი ვირთაგვა. დუხჭირ ყოფაშია რომის ორმოცდაექვსი კვარტალი მაშინ, როცა იტალიის დედაქალაქში 80 ათასზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა ცარიელია, რადგან მათი ქირა უსაშველოდ დიდია.

ეს მონაცემები მოიყვანა ცამეტმა კათოლიკე მღვდელმა პაპისადმი გაგზავნილ წერილში. ერთი იმათგანი — პადრე რობერტო სარდელო, რომელიც იმ ჯურღმულებში ცხოვრობს, ამტკიცებს: „ტყუილია, თითქოს ეკლესიას ფული არ ჰქონდეს. მარტო ვატიკანის მისაღები დარბაზის მოსაწყობად 18 მილიარდ ლირაზე მეტი დაიხარჯა, რომ აღარაფერი ვთქვათ პაპა პავლე VI-ს დაკიდებულ ბაღზე, რომელმაც 15 მილიარდი შთანთქა მხოლოდ იმიტომ, რომ პაპს არ სურს ვატიკანის ვრცელ პარკებში სასეირნოდ ძირს ჩამოსვლა".

სარდელო მიანიშნებს მის კვარტალში ამას წინათ აშენებულ ეკლესიაზე და განაგრძობს: „ეს ეკლესია მილიონები ღირს, ჩვენ კი სკოლები, საცხოვრებელი სახლები, ექიმები, სინათლე, წყალი გვჭირდება. დაბეჯითებით მოვითხოვთ, შეწყდეს ახალი ეკლესიების მშენებლობა!"

ამ პროტესტს 300 იტალიელმა ეპისკოპოსმა გასცა პასუხი: კრიტიკა და ინიციატივა დაბალი კატეგორიის მღვდელმსახურისაგან შეუწყნარებელია... პროტესტის განმცხადებელი მღვდლები აცდნენ ჭეშმარიტების გზასო...

## მათხოვართა პატრონესა

რომის ქუჩებში ბავშვიანი ქალი მოწყალებას თხოულობს. იტალიის დედაქალაქისთვის ეს ჩვეულებრივი სურათია. მაგრამ იმას, ვინც მათხოვარს მოწყალებას აძლევს, აზრადაც არ მოსდის, რომ ეს ქალი მსახური გახლავთ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი მონაზვნისა.

„დედა ევგენია", ერში ელიზაბეტ რავაზად ცნობილი, თორმეტი წლის წინ განკვეთეს მონაზონთა ორდენიდან. ჰოდა, სწორედ მაშინ მოუვიდა აზრად, შეექმნა მათხოვართა საკუთარი საზოგადოება და ამ საზოგადოების წევრებმა მთელს იტალიაში ხეტიალით თავისი „მეპატრონისთვის" უკვე ორ მილიარდ ლირზე მეტი მოიმათხოვრეს. მონაზვნები და ობლები მოწყალების დიდ ნაწილს „დედა პატრონესას" აძლევდნენ. ამ ფულით მან რომში დიდებული ვილა შეიძინა. მათხოვრებს ყოველდღიურად უნდა ჩაებარებინათ არა ნაკლებ ათი ათასი ლირისა. ვინც გეგმას ვერ შეასრულებდა, იმას სასტიკად სჯიდნენ. მიუხედავად ასეთი წამებისა, „მუშა-ქალები" თორმეტი წლის განმავლობაში ინახავდნენ საიდუმლოს.

მხოლოდ ახლახან მოიკრიფა გამბედაობა რამდენიმე მათხოვარმა ქალმა და პროკურორს მიმართა. ცრუმონაზონი დააპატიმრეს, თაღლითობისა და ადამიანების წამებისათვის იგი მალე წარსდგება სამსჯავროს წინაშე.

## მიცვალებულთა ექსპორტი

„ქვეყნის ეკონომიური სიტუაციის გამოსასწორებლად ყველა ხერხი გამოდგება", — განაცხადა ჰაიტის დიქტატორმა ჟან-კლოდ დუვალიემ და მართლაც, მის მიერ აღმოჩენილი ხერხი ღირსეულია „მამა დოკას" შთამომავლისათვის. „ერ ჰაიტის" თვითმფრინავებს, რომლებიც დუვალიეს ოჯახის საკუთრებაა, სპეციალური მაცივრებით ახალ ორლეანში და მაიამში ჩააქვთ... მიცვალებულები. ტვირთი განკუთვნილია ამერიკის უნივერსიტეტების ანატომიური თეატრებისათვის, რომლებიც უკვე დიდი ხანია ამგვარი სასწავლო მასალის ნაკლებობას განიცდიან.

ჰაიტისათვის კი ეს პრობლემა არ არის. აქაურ საავადმყოფოებში მიცვალებულს ნათესავებმა სამი დღის განმავლობაში უნდა მიაკითხონ. მაგრამ ხშირად ისინი ვერ ცხადდებიან, რადგან მკურნალობის საფასურის გადახდა არ შეუძლიათ. ამის გამო, ყოველ თვე ჰაიტიდან აგზავნიან 80 „მოუკითხავ" მიცვალებულს.

— არ იდარდოთ, ჩვენ გარანტიას გაძლევთ, რომ შეუფერხებლად მოგაწოდებთ საქონელს. თქვენ ოღონდ წინასწარ გვაცნობეთ, რამდენი გჭირდებათ და სწორედ იმდენი კაცი მოკვდება ჰაიტიზე, — დაარწმუნა კლიენტები „ერ ჰაიტის" პრეზიდენტმა — ანუელ დიუპონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი სიჯანო ქლუბი

### ახალი აღმოჩენები

# ძველი წამლის საიდუმლოება

ასპირინი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამკურნალო საშუალებაა მსოფლიოში. მარტო ინგლისის მოსახლეობა წელიწადში ამ პრეპარატის 7 მილიონ ტაბლეტს ღებულობს.

მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ასპირინი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნომერ პირველ წამლად ითვლებოდა, ადამიანის ორგანიზმზე მისი მოქმედების მექანიზმი ჯერაც არ არის სავსებით გარკვეული.

რამდენიმე ხნის წინ, ქირურგთა სამეფო კოლეჯის ფარმაკოლოგიური განყოფილების მკვლევარების ჯგუფმა ლონდონში გამოაქვეყნა სამი სტატია, სადაც აღწერილია ცოცხალ ორგანიზმზე ასპირინის ზემოქმედების მექანიზმი, მისი ურთიერთკავშირი ადამიანის ორგანიზმში არსებული მეტად აქტიურ ნივთიერებების ჯგუფთან — ეგრეთ წოდებული პროსტაგლანდინებთან, რომლებიც მრავალ ფიზიოლოგიურ პროცესებში მონაწილეობენ. ამჟამად პროსტაგლანდინები მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევენ.

როცა საბოლოოდ დადგინდება ასპირინისა და პროსტაგლანდინების კავშირი, შესაძლებელი გახდება წამლის შემდგომი სრულყოფა, რომ ის უფრო მეტად ეფექტური გახდეს ისეთ ძნელად განსაკურნავ დაავადებებთან საბრძოლველად, როგორიცაა, მაგალითად, რევმატიული პოლიართრიტი. მეცნიერები ვარაუდობენ, ასპირინის მოქმედების სპექტრი გაცილებით უფრო ფართოაო. ასე, მაგალითად, არსებობს იმის მონაცემებიც, რომ ასპირინი განაყოფიერების პროცესზეც ახდენს გავლენას.

პირველად მედიცინის ისტორიაში ასპირინი ცნობილი გახდა 1763 წლის 2 ივნისს, როცა ერთმა ინგლისელმა მღვდელმა, ვინმე ედვარდ სტოუნმა ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრთა წინაშე წაიკითხა მოხსენება ასეთი სათაურით — „ტირიფის ქერქით ციებ-ცხელების წარმატებითი განკურნების ანგარიში“ (სტოუნს მხედველობაში ჰქონდა დაავადება, რომელსაც დღეს მალარიას ვუწოდებთ). სტოუნის ოპტიმიზმი მალარიის „განკურნების“ გამო, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იყო. მაგრამ ერთი რამ კი ცხადი გახდა: ტირიფის ქერქიდან მის მიერ მომზადებული ექსტრაქტი მართლაც ხსნიდა ციებ-ცხელების ნიშნებს.

ასი წლის შემდეგ ტირიფის ქერქის პრეპარატის მოქმედების ასეთივე ეფექტი შენიშნა ერთმა შოტლანდიელმა ექიმმა, რომელმაც ამ წამლის წყალობით, მწვავე რევმატიზმით დაავადებულებს შვება მისცა. სწორედ ამ პერიოდში ტირიფის ქერქით დაინტერესდნენ ქიმიკოსები, რომლებმაც მისგან და ზოგიერთი მცენარისაგან (უმეტესად სპირეის ყვავილისაგან) გამოჰყვეს სალიცილის მჟავა. დიდი ნახტომი კი ამ სფეროში ჩვენი საუკუნის დასაწყისში განხორციელდა, როცა ბავარიელმა ქიმიკოსმა ფელიქს გოფმანმა სინთეზური გზით აცეტილსალიცილის მჟავა ანუ ასპირინი მიიღო.

ორმა გერმანელმა ექიმმა — კურტ ვიტჰაუერმა და იულიუს ვოლგემუტმა პირველად გამოიყენეს ასპირინი პრაქტიკაში. 1899 წელს მათ აღნიშნეს ასპირინის ეფექტურობა რევმატიული პოლიართრიტის მკურნალობისას. ერთი წლის შემდეგ კი, როცა ასპირინის ტაბლეტების წარმოება გაფართოვდა, „ისეთი იაფი წამლისა, რომ პრაქტიკაში მის გამოყენებას არაფერი ეღობება“, — ისევ ამ მედიკოსებმა მიუთითეს ასპირინის მოულოდნელ უნარზე — მის ტკივილგამაყუჩებელ თვისებაზე.

XX საუკუნეში ასპირინისა და მისი მონათესავე პრეპარატების გამოყენება კვლავ იმ პირველდაწყებით ფარმაკოლოგიურ ეფექტებს ემყარება: სიცხის დაწევას, ანთებითი პროცესების შენელებას, და, რა თქმა უნდა, მის ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას.

რა უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, მისი ეს უკანასკნელი თვისება — ტკივილგამაყუჩებლობა — ვერ მოახერხეს დაემტკიცებინათ ვერც ექსპერიმენტულად და ვერც კლინიკურად.

60-იანი წლების დასაწყისში ამერიკელმა მეცნიერმა ჰერი კოლიერმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ასპირინი თამაშობს ანტიდამცველ როლს, არეგულირებს, აწესრიგებს ადამიანის ორგანიზმის დამცველი რეაქციების ჭარბ მოზღვავებას (ეს დამცველი რეაქციები ორგანიზმში სხვადასხვა დაავადების საწინააღმდეგოდ წარმოიშობა).

უკანასკნელ წლებში ამ დამცველ რეაქციებში სულ უფრო მეტ როლს მიაკუთვნებენ პროსტაგლანდინებს. ვეინისა და მისი კოლეგების ახალი აღმოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ ასპირინი ამუხრუჭებს ანთებით პროცესში მონაწილე პროსტაგლანდინების სინთეზს.

მაგრამ რით აიხსნება მისი სიცხის დამწევი თვისება? ამ უკანასკნელ დროს გამოქვეყნდა რიგი ნაშრომებისა, სადაც მტკიცდება, რომ პროსტაგლანდინები ტემპერატურის მომატებას იწვევენ და, რადგან ეს ნივთიერებები მაღალი სიცხის გამომწვევი არიან, ასპირინი კი მათ სინთეზს ამუხრუჭებს, უკვე მეცნიერულად საბუთდება ამ წამლის სიცხის დამწევი თვისება, რომელიც საექიმო პრაქტიკით რა ხანია დადგენილია.

დღეს ორგანიზმზე ასპირინის ზემოქმედებაში „თეთრ ლაქად“ მხოლოდ ის რჩება, თუ რატომ აყუჩებს ასპირინი ტკივილს.

ვეინი ვარაუდობს, რომ მის გამოკვლევებს პრაქტიკული გამოყენება ექნება. ჯერ ერთი, ასპირინის საშუალებით პროსტაგლანდინების სინთეზის დამუხრუჭების შესაძლებლობა მეცნიერებს ექსპერიმენტირების ახალ სფეროს გადაუშლის, რომელიც იქით იქნება მიმართული, რომ ორგანიზმში პროსტაგლანდინების სხვადასხვა როლი დადგინდეს. მერე კი, თუ მოხერხდა ზუსტად დადგინდეს, როგორ მოქმედებს ასპირინი, შესაძლებელი გახდება მისი სრულყოფაც. მაგალითად, ეს წამალი შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ მან დაამუხრუჭოს პროსტაგლანდინების სინთეზი კანში და არ იმოქმედოს მის სინთეზზე კუჭში. ამით კი ავიცილებთ კუჭ-ნაწლავში იმ გვერდით მოვლენებს, რაც ასპირინის დიდი დოზებით მიღებას ახლავს.

კიდევ ერთი ვარაუდი: ფიქრობენ, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედება პროსტაგლანდინების სინთეზს ეყრდნობა. ჰოდა, იქნებ, ზოგჯერ ჩასახვის საწინააღმდეგო წამლის არაეფექტურობა იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ქალმა თავის ტკივილის დასაყუჩებლად ასპირინი მიიღო?

დაბოლოს, მეცნიერების წინაშე ამ ძველთაძველი წამლის სრულიად ახალი თვისება გადაიშალა — მისი გავლენა განაყოფიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პროცესზე. ხომ დადგენილია, რა მნიშვნელოვან სასიცოცხლო როლს ასრულებენ პროსტაგლანდინები ქალისა და მამაკაცის ორგანიზმში შთამომავლობის წარმოქნის ასპექტში. ისიც დადგენილია, რომ პროსტაგლანდინების გადაჭარბებულმა სინთეზმა შეიძლება თვითნებური აბორტი გამოიწვიოს. სრულიად დასაშვებია, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს ასპირინით ამ სინთეზის დამუხრუჭება, ერთი სიტყვით, ორსულობის შენარჩუნება.

**ბრემ ჩედი.**

**ჟურნალი „ნაუკა ი ჟიზნ".**

# უნებლიე ხასიათის მოძრაობები ბავშვებში

ბავშვები ზოგჯერ აკეთებენ უნებლიე მოძრაობებს, რომლებიც განპირობებულია თავის ტვინის ქერქქვეშა წარმონაქმნების დაზიანებით.

მართალია, ასეთი მოძრაობანი აღენიშნებათ როგორც ბავშვებს, ისე მოზრდილებს, მაგრამ ბავშვთა ასაკში უნებლიე მოძრაობები ადვილად ვითარდება და მრავალგვარი ხასიათისაა, რაც ნაწილობრივ ბავშვის თავის ტვინის თავისებური აღნაგობით აიხსნება. ბავშვის თავის ტვინის ქერქქვეშა წარმონაქმნების დაზიანებას და უნებლიე მოძრაობების განვითარებას იწვევს ნერვული სისტემის ინფექციური დაავადებები და სისხლის მიმოქცევის მოშლილობა, ტოქსიკური და ტრავმული დაზიანებანი; ერთგვარი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობით განწყობასაც.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნერვულ განყოფილებაში ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვებს თავის ტვინის ქერქქვეშა წარმონაქმნები ხშირად მუცლად ყოფნის დროს უზიანდებათ (დედისა და ნაყოფის ორგანიზმს შორის იმუნო-ბიოლოგიური შეუთავსებლობის შემთხვევაში, რეზუს უარყოფითი დედა და დადებითი ნაყოფი, სისხლის სხვადასხვა ჯგუფობრიობა, ლეიკოციტური შეუთავსებლობა და სხვა), ვითარდება იმუნო-ბიოლოგიური კომფლიქტი. ეს კონფლიქტი წარმოიშობა პათოლოგიური ორსულობის დროს, რომლის შედეგად ირღვევა ნორმალური ურთიერთობა ნაყოფისა და დედის ორგანიზმს შორის. ამას შეიძლება მოჰყვეს ნაყოფის თავის ტვინის ქერქქვეშა წარმონაქმნების დაზიანება, რაც იწვევს ბავშვებში უნებლიე მოძრაობის განვითარებას. ამიტომ, ქალს დიდი სიფრთხილე სჭირდება ორსულობის ნორმალური მიმდინარეობის შესანარჩუნებლად. მაგალითად, დადგენილია, რომ ორსულობის დროს მოწეული ერთი სიგარეტიც კი იწვევს ნაყოფის გულისცემის შენელებას, ნაყოფის ორგანიზმში ჟანგბადის შიმშილს. მაშასადამე, დედის ორგანიზმზე მოქმედი უარყოფითი ფაქტორების (უარყოფითი ემოციები, ინფექციები, ინტოქსიკაციები, მავნე ჩვევები) ზემოქმედება შეიძლება საბედისწერო გახდეს ნაყოფისათვის და გამოუსწორებელი დაღი დაასვას ბავშვის ნერვულ სისტემას. განსაკუთრებით საშიშია ამ მავნე ფაქტორების ზეგავლენა დედასა და ნაყოფს შორის იმუნო-ბიოლოგიური შეუთავსებლობის შემთხვევებში.

დაბადების შემდეგ ბავშვის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მრავალი პათოგენური ფაქტორი მოქმედებს. მაგალითისათვის დავასახელებთ ორს, რომელთაც ნაკლები ყურადღება ექცევათ: ესაა დაზიანებული (კარიესული) კბილები, რომლებიც იწვევს ორგანიზმის ქრონიკულ მოწამვლას, რასაც შეიძლება მოჰყვეს თავის ტვინის ქერქქვეშა წარმონაქმნების ფუნქციის დარღვევა. მეორეა ღვიძლის პათოლოგია. ზოგჯერ ბავშვს უნებლიე ხასიათის მოძრაობები უვითარდება ეპიდემიური ჰეპატიტის (ბოტკინის დაავადება) გადატანის შემდეგ. რაც უნდა აიხსნას ღვიძლის დამცველი ფუნქციების დაქვეითებით.

ქერქქვეშა წარმონაქმნების დაზიანებით განვითარებული უნებლიე ხასიათის მოძრაობები მრავალი სახისაა, მათგან უფრო ხშირად გვხვდება ტიკური და ქორეატული მოძრაობები.

სიტყვა „ტიკი" ფრანგულიდანაა ნასესხები. ტიკი—კუნთების გარკვეული ჯგუფის ხანმოკლე ერთფეროვანი უნებლიე შეკუმშვაა. ტიკი თავისი გამოვლინებით წააგავს ნებით მოძრაობას, მაგრამ განსხვავდება მისგან უნებლიე ხასიათით; თუ ავადმყოფმა შესძლო ტიკის დროებით შეკავება, შემდგომ პერიოდში იგი კიდევ უფრო მეტი სიძლიერით გამოვლინდება.

არჩევენ ლოკალიზებულ, ე. ი. ადგილობრივ და ზოგადი ხასიათის ტიკს. ადგილობრივი ტიკი გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება და მოიცავს ძირითადად სახის კუნთებს. ბავშვებს აღენიშნებათ გამუდმებული, სტერეოტიპული მოძრაობანი: თვალების გაძლიერებული ხამხამი, ცხვირის, პირის და შუბლის კუნთების შეკუმშვა, კისრის და მხრის უნებლიე მოძრაობა, ზოგჯერ ღეჭვითი და წოვითი მოძრაობებიც.

გამოჰყოფენ მსუბუქი ფორმის ტიკს ორგანული მოშლილობის გარეშე და ტიკის ფორმას, რომელსაც ტვინის ქერქქვეშა წარმონაქმნების დაზიანება უძევს საფუძვლად. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფსიქოგენური ტიკის შემთხვევები მცირერიცხოვანია და უფრო ხშირად ტიკი ტვინის დაზიანებითაა განპირობებული.

ქორეატული მოძრაობანი უფრო სხვა სახისაა, ესაა არარიტმული, სწრაფი, მძლავრი ხასიათის მოძრაობები, რომლის ცალკეული კომპონენტები წააგავენ ნებით მოძრაობებს. მოძრაობები მოიცავენ სახის, ენის კუნთებს. ხშირია თავისა და კიდურების უნებლიე მოძრაობები, სუნთქვის დარღვევა.

ძლიერი ქორეატული მოძრაობების დროს ვითარდება „მოძრაობითი ქარიშხალი", ბავშვებს ეცვლებათ მეტყველება, ცალკეულ ბგერებს წარმოთქვამენ სწრაფად და ხმამაღლა, დანარჩენებს ხმადაბლა, მეტყველება გაურკვეველი ხდება.

უნებლიე ხასიათის მოძრაობანი ძლიერდება ემოციური დაძაბვის დროსაც.

ქორეატული მოძრაობანი არღვევენ ნებითი მოძრაობების კოორდინაციას, რის შედეგადაც ბავშვი ვეღარ ასრულებს ჩვეულებრივ მოძრაობებს, უძნელდება სიარული, დგომა, წერა. როდესაც ქორეატული მოძრაობები სხეულის ერთ ნახევარს მოიცავს, ვითარდება ეგრეთწოდებული ჰემიქორეა.

დაავადების პირველი დღიდანვე იცვლება ბავშვის ფსიქიკა, თავს იჩენს ამ დაავადების დამახასიათებელი ნიშნები: აგზნებადობა, ხშირი ტირილი, ჯიუტობა, უხასიათობა, უყურადღებობა, გაფანტულობა, ბოდვები და ჰალუცინაციები. ბავშვთა ქორეატული მოძრაობების განვითარება ძირითადად გაპირობებულია თავის ტვინის რევმატული დაზიანებით.

ორივე სახის უნებლიე ხასიათის მოძრაობა მოითხოვს დიდ ყურადღებას, ბავშვთა გულდასმით გამოკვლევას და სათანადო მკურნალობას, შესაბამის სამკურნალო დაწესებულებებში.

**ავთანდილ ლაჭყეპიანი,**

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნერვული განყოფილების ხელმძღვანელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წკეპლა

### პატივცემულო რედაქცია!

ჩვენ სოფელში ვცხოვრობთ, დავბერდით და აღარ შეგვიძლია ქალაქში სიარული. არადა, სოფლის მაღაზიაში არც შავი თავსაფრები იშოვნება, არც წინდები, არც ჟაკეტი და კოსტიუმი. ქალაქში, წასულ ახალგაზრდებს რომ ვაბარებთ, გვეუბნებიან — თალხი ფერის ტანსაცმელი არც იქ იშოვნებაო.

სოფელში სამკერვალო ძვენ არა გვაქვს, რომ კაბა ან კოსტიუმი შევაკერვინოთ. აბა, რა უნდა ვქნათ?

გთხოვთ, ჩვენი თხოვნა იმათ მიაწვდინოთ, ვისაც ეს საქმე ეხება — წითელ-ყვითელ ტანსაცმელთან ერთად სოფლის მაღაზიებში ისეთი საქონელიც გამოგზავნონ, ჩვენისთანა მოხუცებულებს რომ სჭირდებათ.

ნ. აფციაური,
ი. გექაური,

თიანეთის რაიონის სოფელ ნაქალაქრის მცხოვრებნი.

### პატივცემულო რედაქტორო!

ორდღიანმა დასვენებამ საშუალება მოგვცა ხშირი მოგზაურობისა, მატარებლით იქნება ეს თუ ავტობუსით. მაგრამ ეს მოგზაურობა ხშირად აუტანელ პირობებში გვიხდება.

შაბათ-კვირას მოგეხსენებათ, ტრანსპორტში ხალხმრავლობაა, მაგრამ ამას ვინ ჩივის, თამბაქოს სუნი და ბოლი რომ არ გვახრჩობდეს. განსაკუთრებით აუტანელია მგზავრობა ზამთარში, ისედაც შეხუთულ ვაგონში ბული დგას ხოლმე და ქალები და ბავშვები ენით აუწერელ ტანჯვაში ვართ. ხშირად იძულებული ვართ ფანჯრები გავაღოთ და ორპირ ქარში ვიმგზავროთ, რაც მერე თვეობით ავადმყოფობად გვიჯდება. ზოგი უკულტურო ადამიანი ანაგვიანებს, ძირს ყრის პაპიროსის ნამწვებს, იატაკზე აფურთხებს. ამ ამბავს რომ ვწერთ, დღეს ეს დიდი სირცხვილია, მაგრამ მწარე სინამდვილეს გვერდს ვერ ავუვლით.

რა უშველის ამ მდგომარეობას? ჩვენი აზრით — არაფერი, თუ მთავრობამ ჯარიმა არ დააწესა, აი, ისე, როგორც ავტომანქანების ხმოვან სიგნალებზე.

გთხოვთ, ეს საკითხი მსჯელობის საგნად გახადოთ.

ციმერი მაჭავარიანი,
მანანა ჭოლაძე,
ნინელი კეჩხუაშვილი.

### პატივცემულო რედაქცია!

ამას წინათ სტუმრებს ველოდი და გასტრონომში გავედი ტკბილეულის საყიდლად. სწორედ ამდროს მაღაზიას ავტოფურგონი მოადგა და საქონლის გადმოტვირთვა დაიწყეს. სალაროსთან თვალისდახამხამებაში რიგი დადგა — თურმე კაკლის მურაბა მიუღიათ. მოგეხსენებათ, კაკლის მურაბის მოხარშვა დიასახლისისათვის ყველაზე უფრო რთული საქმეა და დიდ დროსაც მოითხოვს.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმეზე დახარჯული შრომა ერთბაშად აგინაზღაურდება, როცა საღამოს ჩაიზე მურაბის ქილას თავს მოხდი და არომატულ, მკვრივ და გემრიელ კაკალს გემოს გაუსინჯავ.

ჰოდა, მაღაზიაში მოტანილ იმ ქილებშიც კუნაპეტივით შავი კაკალი ნამდვილად მადის აღმძვრელად გამოიყურებოდა. სულო ცოდვილო, ვიფიქრე, ვაითუ გათავდეს და მერე ველარ ვიშოვნო-მეთქი, დავხარბდი და ხუთი ქილა ავიღე.

საღამოს, ნავახშმევს სტუმრების წინაშე თავი მოვიწონე — ნახეთ, რა დიდებული მურაბაა-მეთქი. არ ვეშვებოდი, სანამ ყველას არ გადავუღე. როცა ბოლოს ჩემთვისაც გადმოვიღე და კბილი მოვუჭირე, ვაი, სირცხვილო, მუყაო არ შემრჩა პირში?

ძვირფასო რედაქცია; გთხოვთ, ჩვენი სიტყვა მიაწვდინოთ დუშეთის საკონსერვო ქარხნის მესვეურებს: რახან სიკეთეს შვრებიან და კაკლის მურაბას გვიხარშავენ, წინასწარ გულდასმით შეამოწმონ მისაღები პროდუქციის ხარისხი, ხანგადასულ და გამაგრებულ კაკალს ნულარ მიიღებენ გადასამუშავებლად, თორემ მურაბას წვენი მშვენიერი აქვს, ნაყოფი კი პირში არ ჩაიდება. ჰოდა, მურაბას მარტო წვენისათვის ხომ არ ვყიდულობთ?

ლეილა ტაბატაძე,
თბილისი.

გარეკანის პირველ გვერდზე — „დედობა". მხატვარი ეკატერინე ბალდავაძე; მეოთხე გვერდზე — დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. განყოფილებების — 99-50-39. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 13/V 73 ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/V-73 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 125.600. შეკვ. 1332 უე 01890 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი მოდელიორი ნანა კობალაძე

# გაზაფხული-1973

## მოდა

ამბობენ, მოდა გაზაფხულსა ჰგავს თავისი ბუნების ცვალებადობითა და განახლებისაკენ სწრაფვითო. წლის ამ მშვენიერ დროს ქალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩაცმულობას და დიდ ინტერესს იჩენს მოდის მიმართ. წლევანდელ მოდას კი, შარშანდელთან შედარებით, არსებითი ცვლილება არ განუცდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კაბის სიგრძეს, ამ რამდენიმე ხნის წინათ ასეთი მითქმა-მოთქმა და დავა რომ გამოიწვია. ქალთა უმრავლესობა კვლავ დიდი ხალისით დაუბრუნდა მოკლე კაბას, რომელმაც პრაქტიკულობით და მოხერხებულობით თავისი უპირატესობა დაამტკიცა.

მოდის დანარჩენი კომპონენტები: ტანსაცმლის სილუეტი, მისი დეტალები, ფერი და სხვა, არ შეცვლილა. მოდაშია ტანზე მოყვანილი, წელში გადაჭრილი კაბები და პალტოები, გაწყობილი სპორტული დეტალებით: განიერი ქამრებით, ზედნადები ჯიბეებით, კოკეტებით, დიდი და პატარა ზომის, დეკორატიული გვირისტით გაწყობილი გადაფენილი საყელოებით. კვლავ მოდაშია პელერინა, კოსტიუმი, სარაფანი, სხვადასხვა სიგრძის ჟილეტები, უსახელო პალტოები და შარვლიანი კომპლექტები, რომლებმაც ახლა უკვე ყოველდღიურ ცხოვრებაშიც მოიკიდეს ფეხი.

კვლავინდებურად ყურადღების ცენტრშია რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარი კომპლექტები, რომლებიც საჭიროების მიხედვით ადვილად შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს.

და მაინც, დღევანდელ მოდაში შეიმჩნევა ზოგიერთი ისეთი სიახლე, რომელიც მას თავისებურ ელფერს ანიჭებს. მოდის რეკომენდაციების სიაში პირველი ადგილი უჭირავს კოსტიუმს, ჟაკეტის ფორმისა და სიგრძის მრავალი ვარიანტით — პატარა სპენსერით, ოდნავ რომ ფარავს წელს და გრძელი, ქამრიანი ჟაკეტებით. ამ ასორტიმენტში განსაკუთრებული ადგილი უკავია ბლეიზერს. მას ატარებენ კაბის ზემოდან, აგრეთვე ქვედატანთან და შარვალთან. ქვედატანი უმთავრესად გაგანიერებული ფორმისაა,— ირიბად აჭრილი ან ნაკეცებად დაწყობილი.

თანამედროვე ჩაცმულობის ერთ-ერთი უაღრესად გავრცელებული სახეა კაბა-სარაფანი. დღეს მოდა სარაფანის ახალ ვარიანტს გვთავაზობს: მთლიან აჭრილს, მთელ სიგრძეზე ჩაღილულს, ასეთი სარაფანი ჟილეტის მაგივრობასაც გაწევს.

ქალის გარდერობში შარვლის დამკვიდრებამ ააღორძინა სხვადასხვა ფორმისა და სიგრძის ნახევარპალტოები, რომლებიც იკერება რბილი შალის ქსოვილისა, ნატისა და ტყავისაგან.

სახე იცვალა კაბის სახელოებმაც. ახალი მოდა გაგანიერებულ და ამაღლებულ მხრებს მოითხოვს. მიკერებული სახელოს ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ მოდაშია სახელო „რეგლანი" და „კიმანო"

მაგრამ ყველაზე დიდი ცვლილება მიმდინარე სეზონში ფეხსაცმელმა განიცადა. ახლა მოდაშია ფართოცხვირიანი და სქელლანჩიანი ფეხსაცმელი, ე. წ. „პლატფორმაზე" და კორპის ძირზე, გამოსასვლელი ფეხსაცმელის ქუსლები საგრძნობლად ამაღლდა.

მოდა დროდადრო ძველს უბრუნდება. ეს ტენდენცია შეინიშნება მომავალი სეზონისათვის განკუთვნილ პალტოებსა და ჟაკეტებში. ქალის ზედა ტანსაცმელი მხრებიდან გაგანივრდება, სახელოები კი მთლიან-გამოჭრილი ექნება. როგორც გახსოვთ, ეს სილუეტი 50-იან წლებში იყო გავრცელებული.

ამგვარად, დღევანდელ მოდას ძირითადად დაუბრუნდა საქმიანი, პრაქტიკული ხასიათი. ის კარგად ეხამება ჩვენი ქალების ენერგიულ ბუნებას. მათი ცხოვრების რიტმს და თავაზობს მათ მოხერხებულ. სადა და ლამაზ ტანსაცმელს.

ლელი ხვედელიძე, საქართველოს სსრ მოდელების სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.



ИНДЕКС 76178